



ქვეყნის მედი

X. ყოველკვირული გაზეთი. X.

№. 50

კვირა, 8 დეკემბერი 1902 წლისა.

№. 50

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სანაირის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: მეურნე და მეურნეობა, გ. მარმადისა. — ჭიათურის ვითარება, მ. მარმადისა. — საქართ. ეკონ. განვითარება, ფ. გ-სა. — შინაური მიმოხილვა. — სხვა და სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცნობებები. — საზღვარ-გარეთ. — გზაში მთ. ვ. გერესავეისა, თარ. არიასი. — ზატარა წერილი, ადუასი. — მცირე შენიშვნა, აკაკისა. — კავკას. ფარმაცევტ. კრება, ტ. ლუკაშვილისა. — ქართული თეატრი. — განცხადებანი.

საბოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე. გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ 4 მან., ხელს სამი თვით 2 მან. თათო ნომერი სამ შუერთად. ადრესის გამორცხვას თფილისის გარეთ ღირს ორ მანათ.

ხელის მომწერებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილად შეიძინონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად ახანურაბის ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადიქსთან, ვ. ბუკანიაშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კაისკში; ბათუმში სპირიდონ ჭვალბის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვრილასში—ივანე ანდუიშვილთან; დაბა ხანში—სახალხო სამკითხველში. ძველ-სენაკში—ანსენ წითაძესთან; ოზურგეთში—დამენტი შავაშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრი მეღაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

მეურნე და მეურნეობა.


II

როგორც პირველ წერილში ვთქვით, უმაჟულო მეურნის მდგომარეობა დღეს გაცილებით უფრო გაჭირვებულია ვინც ეს ამ ათი წლის წინეთ იყო. ამიტომ თანამედროვე

სამეურნეო კითხვა შეიცავს ორ მხარეს: მეურნეობის განვითარება და თვით მეურნის მდგომარეობის შემსუბუქება. გავარჩიოთ ესენი ცალ-ცალკე.

მეურნეობის განვითარება. მეურნეობა არის ნაციონალური წარმოების მხოლოდ ერთი დარგი. ის ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული სხვა დარგთან, რომ მისი განვითარება და განსხვავებულ კალაპოტში მოთავსება ყოველად შეუძლებელია. დაცემული მეურნეობის აღდგენა აუცილებლათ მოითხოვს საერთო წარმოების გაცოცხლებას და გაძლიერებას. მართალია დღევანდელ პირობებში მეურნეობის და მრეწველობის ინტერესი ერთმანეთს ხშირათ ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეურნეობის განვითარება შეუძლებლად მრეწველობის განუვითარებლათ და მის გარეშე. პირ იქით, სამრეწველო განვითარება ქმნის მეურნეობისათვის ფართო ბაზარს, იაფ მიმოსვლას, მცირე ტარიფს, ტენიკურ გაუმჯობესებას, კრედიტს და სხვა მრავალ ხელსაყრელ საშუალებებს. იმ ქვეყანაში, სადაც მრეწველობა უმაღლეს ხარისხზე ასულია, როგორც მაგ. ინგლისში, სამეურნეო კითხვას მცირე ალაგი უზყრია. იქ კი, სადაც მრეწველობა სუსტი და დაჩაგრულია, როგორც მაგ. რუსეთში და ჩვენში, მეურნეობაც მოუძღვრებული და დაბეჩავებულია. ეს, რასაკვირელია, ბადებს საზოგადო ეკონომიურ კრიზისს, მოუსვენარობას და რყევას. მაშასადამე, სამეურნეო კითხვა მხოლოდ ერთი იმ კითხვათაგანია, რომელნიც იპყრობენ დღეს მოწინავეთა ყურადღებას. ძნელია მიწათ-მოქმედების გაუმჯობესება იქ, სადაც თითქმის ყველაფერი გასაუმჯობესებელია, გასაჭირია აგებულების ერთი ნაწილის განახლება ისე, რომ დანარჩენნიც არ განახლდეს.

ყოველივე ისტორიული ხანა ერთ ორგანიზმს წარმოადგენს; აქ ერთი ორგანო აცოცხლებს ყველა დანარჩენთ და თვით ცოცხლობს მათგან. ერთის დარღვევა იწვევს ყველა ნაწილების და მით მთელი ორგანიზმის დარღვევას. ეს ისეთი ლოლიკაა, რომ მისი გადალახვა ყოველივე ძალ-ღონეს აღაშინებს. მიანისას აღება. ეს კარგათ შეუგნათ რუსეთის ბევრ სა-



მეურნეო კომიტეტებს და თხოულობენ საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობას. აქ პირველი ალაგი უჭირავს სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებას, ადამიანთა მოძრაობის ხელის შეწყობას, კერძო პირთა თვითმოქმედების გაძლიერებას—ერთი სიტყვით საზოგადო სარბიელზე საზოგადოების გამოწვევას. საჭიროა მოშორებულ იქნას ის დაბრკოლებანი, რომელნიც ერთნაირათ ავიწროვებენ, როგორც მეურნეთ ისე არა-მეურნეთა მდგომარეობას და სულს უხუთავენ მთელ ცხოვრებას. ვოლინის გუბერნიის ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს: „გლახს მივსცეთ სწავლის შეძლება; ავამაღლოთ მისი პიროვნება, განვაფრთხილოთ მასში ენერჯია და დამოუკიდებელი მისწრაფება, რისთვისაც საჭიროა მოვიშოროთ ყველა ის ზღუდეები, რომელნიც წინ ელბობიან კულტურულ და ეკონომიურ გზაზე მისი თვითმოქმედების გამოამყვანებას. ამიტომ კი საჭიროა გლახობა გაუთანასწოროთ სხვა წოდებებს პირად და მოქალაქობრივ უფლებებში“ და სხ. და სხ. ცხადია, მისთვის სამეურნეო კითხვა—სამოქალაქო კითხვაა, მიწათ-მოქმედების აღორძინება—საერთო მოქმედების აღორძინებაა, გლახის კითხვა—მოქალაქეთა კითხვაა. ეს საზოგადო განახლება ძალაუფლებურათ თან გაიყოლებს ერის მთელ წარმოებას და მით ის დაედება ძლიერ ღერძათ მეურნეობის განვითარებასაც.

ამ ნაირათ მეურნეობის განვითარება აუცილებლათ საჭიროებს საზოგადო პირობების განვითარებას. პირველი კერძო კითხვაა, ის ეხება მხოლოდ ერთ მხარეს, მოვლენათა ერთ ჯგუფს და როგორც ამნაირი უნდა დაექვემდებაროს უფრო ზოგად კანონებს წინმსვლელობისას. მეორე კი შეიცავს ცხოვრების დედა ძარღვს, მის სულს და გულს, რომლის შემწეობით მისუსტებული აგებულება სხვაფერდება, ახლდება და თან და თან ჯანსაღდება. ეს არის იმავე დროს ერთი ხანიდან მეორე ხანაში გადასვლა, ერთი ურთიერთობის მაგიერ მეორის დამკვიდრება, ერთი საძირკვლის მაგიერ მეორის ჩაყრა. და აი დღევანდელი დღე ამ დიადი საქმის მუშაობაშია.

მეურნის მდგომარეობა. მეურნეობის გაუმჯობესობა თავის თავათ არ მოასწავებს მეურნის მდგომარეობის გაუმჯობესობას. პირიქით, თუ ჩვენ დავუკვირდებით თანამედროვე ეკონომიურ მსვლელობას, დავინახავთ, რომ რაც უფრო ვითარდება მეურნეობა ტექნიკურათ, მიმოსვლით, ბანკებით—ერთი სიტყვით კაპიტალისტურათ, მით უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება მეურნეთა დიდი უმრავლესობა. ავიღოთ მაგ. დასავლეთი ევროპა. ვინ იტყვის რომ აქ მეურნეობა განვითარებული არ იყოს, ე. ი. არ იყოს სამიწათ-მოქმედო მანქანები, სოფლის რკინის გზები, არხები, იაფი კრედიტი და სხ. და სხ., მიუხედავათ ამისა იქაური გლეხი თანდათან ვალიანდება, მიწა-ადგილი ეკარგვის, საკუთრებას შორდება და პროლეტარიატის რაზმში დგება. ინგლისში გლეხი სრულიად გაქრა, მისი ალაგი დაიჭირა მოიჯარადრემ და ბოგანო მუშამ, მთელი ადგილ-მამული კი გადავიდა რამოდენიმე მემამულის ხელში. საფრანგეთში წვრილ მეურნეთა რიცხვი კლებულობს და მათ ადგილებს სხვილები ისაკუთრებენ. ასეთივე მიმდინარეობას ვამჩნევთ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც. არა უკეთეს ყოფაში არიან მესაკუთრენიც იმათ, მართალია, ცოტაოდენი მიწა აქვთ, მაგრამ იმდენი ვალი აწევს და ეს დავალიანება ისე მატულობს, რომ ის უფრო სხვისი საკუთრების გამგეა, და ძლიერ გაჭირვებული გამგეც, ვინემ თავის საკუთრების პატრონი. ის მხოლოდ თავს იტყუილებს თავისუფალი მესაკუთრე ვარო, ნამდვილათ კი ის რომელიმე ბანკის ყურ-მოჭრილი მონაა. და აი ეს მოჩვენებითი საკუთრება დიდათ აბრკოლებს გლახეობას თავისი მდგომარეობა შეიგნოს და თავის ინტერესებს უფრო შეგნებულათ ემსახუროს.

ესი მდგომარეობა შეიგნოს და თავის ინტერესებს უფრო შეგნებულათ ემსახუროს.

რა არის ყველა ამის მიზეზი? მიზეზია ფეოდალური წესების გაბატონება მეურნეობაში. ხოლო, აქვთ ფულის პატრონთ, ადებ-მიცემის ხალხს, ცხადია, მეურნეც მისგან ხდება დამოკიდებული და მის ბრჭყალებში ვარდება. ეს ბრჭყალები ვახლავს თანამედროვე, კაპიტალისტური, ბრჭყალები და მისგან თავის დახწვევა ისე ადვილი აღარ არის, როგორც ჩარჩთა ბრჭყალებისაგან. კაპიტალი იმორჩილებს არა მარტო მეურნეს, არამედ მეურნეობასაც და მიწათ შემუშავებაც კაპიტალისტური ხდება. ასე ნელ-ნელა მეურნეობას განვითარება უახლოვდება მრეწველობის განვითარების და ორივე ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთ გზაზე მიდიან.

ჩვენ, როგორც ჩამორჩენილნი, ისე შორს არ წავსულვართ ამ გზაზე, როგორც წავიდნენ ევროპიელები. ფულმა ჩვენი მეურნე უკვე დაიმორჩილა, მას უფულოთ აღარ შეუძლია ცხოვრება, მაგრამ მეურნეობა ჯერ კიდევ ძველებურათ წარმოებს, კაპიტალისტურ ნიადაგზე ჯერ კიდევ არ დამდგარა. და აი ჩვენი მეურნის გაჭირვებაც აქედან მომდინარეობს. მას ფული ისე სჭირია, როგორც ევროპიელს, ხოლო მისი მოსაპოვებელი წყარო კი აზიური აქვს. ამ გარემოების შეცვლა და წარმოების სრული გავერობიელება დამოკიდებულია მთელი ეკონომიური ცხოვრების გამძლეობაზე, ხოლო ეს კი, როგორც ზევით ვთქვით, მჭიდროდ შეკავშირებულია საზოგადო პირობების გაუმჯობესობასთან.

ამ გვართ, სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის სურათი ასეთია: ჩვენი გლეხი დიდ გაჭირვებაშია, ის იძულებულია თავისი და მემამულის მრავალნაირი მოთხოვნილებანი ძველებური მიწათ-მუშაობით დააკმაყოფილოს, რისთვისაც საზრდოს იკლებს და ხშირათ სიმშობს. აქედან თავის დახწვევა მას შეუძლია ინტენსიური კულტურის შემოღებით, ეს კი ნიშნავს მეურნეობის კაპიტალისტურათ განვითარებას, რაიცა დამოკიდებულია მრეწველობის და მთელი ნივთიერი ურთი-ერთობის გაღონიერებაზე. ხოლო ეს მოითხოვს თვით-მოქმედების გაფართოვებას, საზოგადო ძალებისათვის თაონობის მინიჭებას და უფლებრივი განწყობილების გამოცვლას. შემდეგ კი მეურნეობაც მიიღებს კაპიტალისტურ ფორმას და ჩვენი მეურნეთა დღევანდელი, აზიური გაჭირვება შეიცვლება ევროპიულ გაჭირვებათ, რის დაბოლოებება შეიძლება მხოლოდ კაპიტალიზმის დაბოლოავებით.

გ. მარშალაძე.

ქიათურის ვითარება.

I

სწორეთ მოგახსენოთ, მე არ მინდოდა ამ სათაურით დაწერა, ამიტომ რომ ვიცი: ქიათურის გახსენებაზე ბევრი აცქვიტინებს ყურს, ბევრს შიშის ჟრუანტელი დაუვლის ტანში; არ მინდოდა იმიტომაც, რომ ამ სიტყვის გაგონებაზე ზოგიერთები სიამოვნების ღიმილით აიღებენ ხელში გაზეთს, იმ იმედით, რომ იქ იპოვონ სხვისი დასამკირებელი საშუალება, რადგანაც ფიქრობენ, რომ იმათი სისამაღლე და ზნეობრივი სიღუბნით დაიძალებათ, თუ საზოგადოების ყურადღება სხვისკენ იქნება მიქცეული. მაგრამ მე წინდაწინვე ვაცხადებ, რომ ვინც ასეთი განზრახვით დაიწყებს ჩემი წერილის კითხვას, ის მოტყუებული ღარჩება, წინდაწინვე ვაცხადებ, რომ მე პირადათ არც ქიათურის ოქროები მაინტერესებს და არც მისი ახალმოდის დევ-გმირთა სასიქადულო თუ სათაკილო მოღვაწეობა. კარგათ ვიცი, რომ ამავს უჩემოთაც მრავალი მოტრფიალე ყავს, რომ მეც იმათ შევეუერთდე. დეე,

იმით ილაპარაკონ და ბეჭდონ სტატიები ასეთ საგნებზე, ვისაც გამდიდრება და პირადი ანგარიშის საქვეყნო ინტერესებით დასახევა ერთათ-ერთ მიზნათ გაუხდიათ. საბედნიეროთ ქვეყანა მარტო ასეთებით არ არის დასახლებული. მე მრწამს, რომ ჩვენში არიან ისეთებიც, რომლებიც სულ სხვა მაღალის გრძობებით არიან აღჭურვილი, რომლებიც ადამიანის ღირსებას პატივს ცემენ, მის პიროვნებას ესარჩლებიან ყოველ გვარი შევიწროების დროს, რომელთაც თავის დროშაზე დაუწერიანთ ჰუმანიური სიტყვები: *სიმაჟთლე და ჭეშმარიტება*. მე ვიცი, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ბევრი ეშმაკურათ ჩაიციენებს, ეს რა გამოუტყდელი და ხამი ვინმე ყოფილა! მაგრამ ცდებით! იცოდეთ, რომ მე ძველი, ქანდარაში გავლილი მოსარჩლე ვარ ამ წმინდა იდეების, რასაკვირველია, არა როგორც სარდალი, არამედ როგორც ერთი უკანასკნელი მისი ჯარის-კაცი. და აი სადაც კი ადამიანის პიროვნების დაჩაგრვას და უსამართლობას დავინახავ, მეც, ჩვეულებრივით, როგორც ყოფილი ჯარის-კაცი, ჩემ იარაღს მივმართავ ხოლმე. ამ იარაღს ქვია ჩვენ დროში ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც ზოგჯერ გათხუნილ ხელებშიც ვარდება, რომ მისი შემწობით უსამართლობას გაუწიოს მოსარჩლეობა, მაგრამ დაბოლოს იგი მაინც ჭეშმარიტების და სიმართლის მისაღწევი იარაღია. ამ განმარტების შემდეგ გადავდივარ იმ საგანზე, რომელზედაც აქ საუბარი გვექნება მკითხველთან. მკითხველმა აღბათ იცის, თუ რა არის დღეს ქიათურა, ის ქიათურა, რომელიც ამ ოციოდე წლის წინეთ სრულიათ უცნობი და მიყრუებული ადგილი იყო. დღეს ქიათურა წარმოადგენს სამრეწველო ცენტრს, რომელსაც ფართო სახელი აქვს მოპოებული. ქიათურის მრეწველობა თქვენ იცით; გეცოდინებათ აგრეთვე ისიც, თუ როგორ მდიდრდება იქ ზოგიერთი ბედნიერთაგანი ამა ქვეყნისა. მაგრამ მე იმათზე არ ვლაპარაკობ და არც იმათი ბედნიერება მშურს; და კიდევ მშურდეს, მე ხომ ამას ვერავის დაუშლი. არა, მე ვამბობ იმ დავიწყებულებზე, რომლებიც ქიათურის მრეწველობას სათავეში უდგანან, რომელთაც მიწის გულიდან წვითა და დაგვით ამოაქვთ სიმდიდრე და სხვას ჯიბეში უდებენ. და მართლაც, ყველასათვის აშკარაა, რომ შავი ქვის მაღანი თავის თავით მიწიდან არ გამოდის და არც რკინის გზის ბაქნებზე ჩადის. ყველამ კარგათ უწყის, რომ მადანის ამოღებისთვის, მისი გაწმენდა-დასუფთავებისთვის და რკინის გზის ბაქნებზე ჩამოტანისთვის ადამიანის შრომა აუცილებელ საქიროებას შეადგენს, და ამ გარემოებას იძულებულია შეურიგდეს ყველა მრეწველი, რომელსაც ფულის შექმნა გაუხდია თავის ცხოვრების მიზნათ. მაგრამ თვით ამ შრომის წარმომადგენელის პიროვნება, მისი მდგომარეობის ცოდნა არავისთვის საქიროებას არ შეადგენს. საქიროა მხოლოდ, რომ მადანი გამოიღონ მიწიდან, გაწმინდონ, ჩაიტანონ რკინის გზის ბაქნებზე და იმით დატვირთონ ვაგონები. თუ კი ეს შესრულდება, დანარჩენი არამც ყოფილა, ოქროები ხომ ჯიბეში ჩაჩხრიალდება. და წარმოიდგინეთ, რომ ქიათურის მიდამოზე ყოველივე ეს ოც წელიწადზე მეტია რაც სრულდება, და ერთხელაც არავის მოუსურვებია ამის გაგება, თუ ვინ არის ქიათურის შავი ქვის მრეწველობაში შრომის წარმომადგენელი, ან როგორია მისი არსებობის პირობები. იმდენათ დიდია ეს დავიწყება, იმდენათ საგრძნობელია იგი, რომ ჩვენ ექვს შევიტანდით ქიათურაში მშრომელი ხალხის არსებობაში, რომ აქაიქიდან ყოველ წლივ 20—30 მილიონი ფუთი მადანი არ გამოქონდეთ. თვით ბ. გ. ზდანოვიჩის მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა 1900 წლის შავი ქვის მრეწველთა მესამე კრებას, ჩვენ ვტყობილობთ, რომ მთელ რუსეთში ძნელათ მოიპოვება მრეწველობის მეორე დარგი, სადაც ისე უყურადღებოთ იყოს და-

ტოვებული მუშა ხალხის მდგომარეობა, როგორც ქიათურისა, და სადაც დღემდის მისი მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლათ არაფერი არ გაკეთებულა *). ასეთი ოცნებების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ქიათურის მუშავე ხალხის მდგომარეობა რამდენიმეთ მაინც გამოირკვეოდა, რაც იქნებოდა პირველი ნაბიჯი ამ მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ გადადგმული. მაგრამ ეს იყო და ეს, ყოველივე დაბოლოვდა მხოლოდ ამ მჭერმეტყველური განცხადებით.

მართალია ამ ხნის განმავლობაში, თანახმით მესამე კრების გადაწყვეტილებისა, შემოღებულ იქნა ქიათურის მადნებში მომუშავეთა საერთო (კოლექტიური) დაზღვევა უბედურ შემთხვევებისაგან კერძო კომერციულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს ზომა დღევანდელი სისტემით სრულიათ შეუსაბამო და ყოველათ უსარგებლო გამოდგა ქიათურის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, რასაც ჩვენ აშკარათ დავგანახებებს ამ დაზღვევის ორი წლის მოქმედების განხილვა, რაიცა ამ წერილის უმთავრეს საგანს შეადგენს. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდე, მკითხველის ყურადღებას კიდევ შევაჩერებ ერთ ზოგად გარემოებაზე.

არის ორი ორგანო, რომელთაც კანონით ასე თუ ისე დაკლებული აქვს ქიათურის მრეწველობაში მომუშავეთა მდგომარეობის გაცნობა: სამთო გამგეობა და თვით მრეწველთა საბჭო. პირველი ორგანო, ე. ი. სამთო გამგეობა, ვალდებულია ყოველ წლივ შემდეგი ცნობები შეკრიბოს და წარადგინოს სათანადო სამინისტროში: 1, მრეწველთა რიცხვი და მათი წარმოების რაოდენობა, 2, რამდენი მუშა ყავდა იითოეულ მრეწველს წლის განმავლობაში; 3, რამდენი იყო იმათში მცირე წლოვანი და დედაკაცი; 4, ხელფასის რაოდენობა; 5, სამუშაო დღის სიგრძე მაღაროებში. გარდა ამისა სამთო გამგეობა ავალებს ყველა მრეწველს, იქონიოს ცალკე ჟურნალი, რომელშიაც დაწვრილებით უნდა იქნეს შეტანილი ყოველგვარი უბედური შემთხვევა, რომელიც კი მუშაობის დროს მუშას შეემთხვევა. მართალია, სამთო გამგეობის პროგრამაში არ შედის სხვა საინტერესო კითხვები, როგორც, მაგ., მუშის ეროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, წერა-კითხვის ცოდნა, ან რამდენი ხანია მუშაობს მადნებში და მრავალი სხვა, მაგრამ რაც შედის, იმაზედაც რომ პასუხს იძლეოდეს ქიათურის სამთო ზედამხედველობა, იმ შემთხვევაშიაც მისი ცნობები მრავალნაირათ იქნებოდენ საინტერესო, ვინაიდან მაშინ ჩვენ გვეცოდინებოდა, თუ რამდენი კაცი მუშაობს შავი-ქვის მრეწველობაში, რამდენია იმათში ბავშვი და დედაკაცი, და რას ღებულობენ იგინი დღიურათ. სამწუხაროთ ადგილობრივი სამთო გამგეობა სრულებით არ თვლის საქიროთ ამ ცნობების შეკრებას. ამის მაგივრათ იგი ადგენს სიას, სადაც შეაქვს მრეწველთა სახელები და გვარები; იმათ გვერდზე ნაჩვენებია, თუ თითო მრეწველს რამდენი ფუთი მადანი ამოუღია წლის განმავლობაში და რამდენი მუშა ყოლია. მორჩა და გათავდა. მაგრამ უფრო გასაკვირვალი აქ ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში მუშათა რაოდენობა ნაჩვენებია მთელი რიცხვით კი არა, არამედ მთელ რიცხვს ნაწილიც ახლავს. მაგალ., ვინმე მრეწველს ამოუღია, ვთქვათ, წლის განმავლობაში ასი-ათასი ფუთი ქვა და მუშა ყოლია 5,7, ე. ი. ხუთი მთელი მუშა და ერთისაც შვიდი მეთათედი! რასაკვირველია, რთულ სტატისტიკურ გამოკვლევებში ასეთი ნაწილადიანი რიცხვები ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყოველად გა-

*) იხ. „Труды III съезда марганцепромышленниковъ. Докладъ Г. Здановича объ учрежденіи пенсіонной кассы, 33. 9.

უგებარია. და თუ ასეთი ციფრებით არის ავსებული სამთო გამგეობის სიები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნამდვილ ცნობების შესაკრებათ მას ვერ მოუცლია, და ვალის მოსახდელათ თავისი ფანტაზიის საშუალებით გამოგონილი რიცხვები ჩაუწერია, იმ მოსაზრებით, რომ კანტროლს მაინც ვერავინ გაუყვებეს. და ეს იმ დროს, როცა სამთო გამგეობას ჭიათურაში მოსამსახურეთა სრულიად საკმარისი რიცხვი ყავს. ამნაირათ გამოდის, რომ ჩვენ დღეს არ ვიცით დაახლოვებით ჭიათურის მადნებში მომუშავეთა ნამდვილი რაოდენობა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ეს ხუთი და შვიდი მეათედი მუშა, საიდან არის იგი მოსული, მცირე წლოვანია, დედაკაცი, თუ დიდი, რა ქირას ღებულობს, რამდენ საათს მუშაობს დღე და ღამის განმავლობაში, წერა-კითხვის მცოდნეა თუ არა და სხვა და სხვა—ყოველივე ეს წყვედიანით არის მოცული, და თქვენ სრულიად ამაოთ ეცდებით ამების გაგებას.

ამ ნაკლის თავიდან აცილება შეეძლო მრეწველთა საბჭოს და განსაკუთრებით მასთან დაარსებულ სტატისტიკურ ბიუროს. ვინც წაიკითხავს ბ. ზდანოვიჩის მოხსენებას, რომელიც მან მრეწველთა მესამე კრებას წარუდგინა, ყველა იმ დასკვნამდე მივა, რომ სტატისტიკური ბიუროს დაარსების ერთი უმთავრესი მიზანი ჭიათურის მრეწველობის და მასში მომუშავე ხალხის მდგომარეობის გამოკვლევა და შესწავლა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ გამართლდა. მართალია, დაზღვევის არ იყო, სტატისტიკური ბიურო კი დაარსდა, მაგრამ მისი თავი და თავი მიზანი თითქმის სრულიად დავიწყებული დარჩა. როცა რაიმე ღონისძიება გსურთ იხმართ რაიმე საქმის წარმატებისათვის, უმაღლესი თვით საქმეს უნდა იცნობდეთ. მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება უწინარეს ყოველისა თხოვლობდა თვით ამ მდგომარეობის ცოდნას. ჭიათურის მრეწველთა საბჭოსთან დაარსებული სტატისტიკური ბიურო ჩვენთვის უცნობ მიზეზების გამო აცდა თავის პირდაპირ გზას. ჩვენ არ ვიცით, თუ რას აკეთებს დღეს ეს ბიურო, შეიძლება იგი ბევრსაც მუშაობდეს, მაგრამ ის კი დარწმუნებით ვიცით, რომ ჭიათურაში მომუშავე ხალხის მდგომარეობის შესწავლა დღესაც იმ ყოფაშია, როგორც ეს ამ ორი და თუ გინდ ათი წლის წინეთ იყო. ჩვენი აზრით, მრეწველთა საბჭო ვალდებული იყო მიენიჭებია სტატისტიკური ბიუროსთვის ისეთი ორგანიზაცია, რომ მას შეეძლებოდა თავისი უმთავრესი დანიშნულების შესრულება. სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა. საინტერესოა ეიცოდეთ ნაკოიერი საშუალების უქონლობამ შეუშალა ხელი საბჭოს საქმის ორგანიზაციის შექმნისთვის, თუ თვით სტატისტიკური ბიუროს მოსამსახურენი ვერ აღმოჩნდნენ თავის თანამდებობისათვის შესაფერი პირები?

როცა ხედავ ერთი მხრით ასეთ სრულ უყურადღებობას და მეორე მხრით მომუშავეთა აუტანელ მდგომარეობას, გულის გიკვდება. შეიძლებოდა კი, რომ ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, არსებულიყო სხვა და სხვა ორგანიზაცია ამათ სასარგებლოთ, როგორც, მაგ., სხვა და სხვა დამხმარებელი საზოგადოებანი, სკოლები, კითხვები, იაფ-ფასიანი სასაღილოები და უმეტესათ კი ბინები. რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღე და ღამეში, გაოცდებით. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი, მიწური ქობახები, რომლებიც ყველაფერს გვანან, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალა-უნებურათ გაიფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლათ არსად არ უნდა აფასებდნენ, როგორც ჭიათურის მადნებში. სკოლა

რა ხილია, აქ არ იციან, თუმცა მცირე წლოვან მომუშავეთა რიცხვი საკმარისათ დიდი. აქედან ადვილათ აიხსნება ის გარემოება, რომ წერა-კითხვის მცოდნეს აქ სასათნოთ ვერ მოძებნი. მაგრამ მადნებში მომუშავეთა კიდევ უფრო უძრავ ყოფაში ჩალანდრებია, ე. ი. ისინი, ვისაც ხარ-კამებით თუ ცხენით მადანი რკინის გზის ბაქანზე ჩამოაქვთ. თუ მადნებში მომუშავე ხალხს სამთო გამგეობა კიდევ ასე თუ ისე იხსენიებს, ჩალანდრები მასაც დავიწყებული ყავს და მრეწველთა საბჭოს ხომ ისინი არ გახსენებია და არა, ე. ი. თუ ჩვენ სამთო მუშათა რიცხვი, ტყუილი თუ მართალი, მაინც გვაქვს ჩალანდრების შესახებ არც ეს ვიცით. მრეწველებში იციან მხოლოდ, რომ ვილაც ივანეები და პეტრეები მადნებში მიდიან, იქ ტვირთვენ ურმებს და ცხენებს შავი-ქვით, რომელიც ჩაქვთ რკინის გზის ბაქანზე. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ჩალანდარი თავისი ცხენით ან ხარ-კამებით რკინის გზის ბაქანის მაგიერ ხრამში გადავარდება და სამუდამოთ იკარგება, მაგრამ ეს არავის აწუხებს, და ამას შველის ის გარემოებაც, რომ მათი სათვალავიც კი არავინ იცის, რომ დაკლება მაინც შენიშნოს! ერთი სიტყვით, საკვირველი არსებაა ეს შავი-ქვის მუშა!

მ. მარილაძე

საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში.

II

ასეთი იყო მიხედვებით საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა ამ ერთი საუკუნის წინეთ, როგორც ეს აღვნიშნეთ წინა წერილში*). იქ ჩვენ ვთქვით, რომ საქართველოს ხალხი მაშინ კარჩაკეტილი ოჯახური მეურნეობით ცხოვრობდა და ვეცადეთ, ეს აზრი მოკლეთ დაგვესურათებია და ფაქტებით დაგვესაბუთებია.

მას შემდეგ განვლო ასმა წელიწადმა, მაგრამ საქართველოში არის დღესაც ისეთი კუთხეები, საცა ძველი კარჩაკეტილი მეურნეობა კიდევ არსებობს, ძველებური ეკონომიური წყობილება კიდევ არ შეცვლილა ძირიანათ. ასეთი მხარეა, მაგალითათ, სვანეთი. „სვანებს აქვთ ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებაში ესაჭიროებათ“,—სწერდნენ ამ ოციოდე წლის წინეთ „ივერიაში“¹⁾. „ისინი თვითონ იქსოვენ თავის ტანისამოსებს, თვითონ იკეთებენ იარაღს, თოფის წამალს და ოქრო-ვერცხლის ნივთებსაც-კი. ერთი სიტყვით სვანებს ყველაფერი თავისი აქვთ და სხვა მხარეებიდან აქ არაფერი შემოდის... ვაჭრობა აქ სულ არ არსებობს; ვაჭრობის მნიშვნელობა სვანებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ. ვაჭარს სვანები სრულებით პატივს არ სცემენ. თუმცა სვანეთში არის გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ეს არის გაცვლა ნაწარმოებთა. ფული ვაჭრობაში არ იხმარება. აქ არც ღუქანია და არც ბაზარი. მოკლეთ რომ ვთქვათ, ვაჭრობა, როგორც ეს კავკასიის სხვა მხარეებშია, აქ არ მოიპოვება“.

ასეთი მდგომარეობა არ იყო შესაძენვეთ შეცვლილი სვანეთში მე-80 წლებშიაც. 1886 წელს მ. კოვალევსკიმ მოიარა სვანეთი და, აი, რას მოგვითხრობს იგი სვანების ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ: „ნატურალური მეურნეობა და ხალხში ქონებრივით დიდი უთანასწორობის არ არსებობა შეადგენს დამახასიათებელ ნიშანს სვანეთის ეკონომიურ მდგომარეობისას. აქ ვერ შეხვდებით ვერც ერთ მათხოვარს, ვერ შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელიც სამოწყა-

*) იხ. „ველი“ № 49.
¹⁾ 1877 წ. № 25 (ამოწერილია ნ. ჟორდანიას სტატიაში „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, „მოამბე“ 1895 წ., VI, გვ. 111, 13.

ლოს თხოულობდეს. გარდა რკინის, მარილის და ჩითისა, სვანები ყველა სავანებს, რაც მათ ესაჭიროებათ, თვითონ აკეთებენ. აკეთებენ კანაფისგან ტილოს, მატყლისგან ტანი-სამოსს, ტყავისგან ფეხსაცმელს; აკეთებენ ნაბდის ქუდებს, საოჯახო ჭურჭლეულობას, იარაღს, უნაგირს, აღვირ-ავშარას, სამეურნეო იარაღებს და სხვ. რადგანაც საკმაო შალის მოსაქსოვათ და ფეხსაცმლის დასამზადებლათ სვანებს საკუთარი დაუშუშავებელი მასალა არ ყოფნით, ამიტომ ისინი იძულებული არიან, მატყლი და ტყავი გარედან იყიდონ. ამა-ებში სამაგიეროთ სვანები აძლევენ თაფლს, თოფის წამალს, ხილს, გობებს, სტოლებს, სკამებს, დივანის გამოჭრილ ფეხებს და, კარგი მოსავლის დროს, ჭირნახულსაც⁽²⁾.

მართალია, მას შემდეგ სვანეთში ძველი ეკონომიური წყობილება შეირყა და ცვლილების გზას დაადგა, მაგრამ მაინც იქ საოჯახო მრეწველობა დღესაც გავრცელებულია და ძველებური კარჩაკეტილობა დღესაც ძლიერია. მაგალ., ერთი კორესპონდენტი შემდეგს სწერდა შარშან „ივერიას“⁽³⁾: „სვანეთში კანაფით სარგებლობენ გლეხები, რად-განაც იქსოვენ ტილოებსა და იცმენ საცვლებს; თითქმის სა-ნახევროთ გლეხის ქალსა და კაცს კანაფის საცვლები აცი-ათ. კანაფისგანვე გრებენ თოკებსა და თესლისას აკეთებენ მშვენიერს მარხვის შექამანდს... თხილგან სვანები, ხორცისა და წველის გარდა, ტყავითაც თავისებურათ სარგებლობენ: სვანი გადაჭრის თხის ტყავს კისერს, მოაკერებს, ვიწრო სა-ყელოს მაგიერ, ძველ ნაბდის ნაგლეჯს, წინა ფეხების აღვი-ლას მოაკერებს სახელოებს და ამ რიგათ სვანის ქურქი მზათ არის. ამ ტყავს სვანი მთელ ზამთარს არ იშორებს და ზო-გიერთს ისე უყვარს, რომ თბილს ამინდშიაც კი ატარებს. ასევე სარგებლობენ ცხვრითაც; მთელს ზამთარს სვანის ქა-ლები მატყლის რთვასა და შალების ქსოვაში ატარებენ; აკე-თებენ შალებს, რომელიც ქალისთვისა თუ კაცისთვის სვანე-ბის უმთავრეს ტანისამოსს შეადგენს; აკეთებენ ნაბდის ქუ-დებს, წინდებს და სხვა“...

როგორც ხედავთ, სვანეთში დღესაც ეკონომიურ დამოუ-კიდებლობას ეტანება; დღესაც იქ თითოეული ოჯახი ცდი-ლობს, თავისი მოთხოვნილებანი, რამდენათაც შეიძლება, სა-კუთარი წარმოებით დაიკმაყოფილოს. იგი ეწევა სასოფლო მეურნეობას და საოჯახო მრეწველობასაც. ამიტომ იქ ჯერ არ განშორებია მრეწველობა სოფლოურ მეურნეობას, არ გა-სპეციალებულა წარმოება, არ მომხდარა ხალხში შრომის გა-ნაწილება. ამის პირდაპირი შედეგია გაცვლა-გამოცვლის სი-სუსტე, აღებ-მიცემობის ნაკლებობა.

და სვანეთი ამ მხრით ერთათ-ერთი მხარე არაა საქარ-თველოში. ეკონომიური კარ-ჩაკეტილობით თუშეთ-ფშავ-ხევე-სურეთიც ძალიან ვაგს სვანეთს. ამ მთის მიდამოებშიაც ძა-ლიან გავრცელებულია საოჯახო მრეწველობა და ნაკლებ განვითარებული ვაჭრობა, აღებ-მიცემობა. არ ვიცი, ახლა როგორ არის და—ამ 15 წლის წინეთ-კი ხევესურეთში და ზევითა თუშეთში სავაჭრო დუქნები სრულებით არ მოიპო-ვებოდა. მხოლოდ ზაფხულის თვეებში მიდიოდა იქ ბარიდან თითო-ოროლა მეწვრიმალე, რომ სხვა და სხვა საწვრიმალე ნივთები ხალხში გაესაღებია⁽⁴⁾. ბამბის ფაბრიკული ქსოვი-ლები მხოლოდ ფშაველებში და თუშებში ვრცელდება, ხევე-

სურები კი ამის სამაგიერო ქსოვილებსაც შინ აკეთებენ და შინაური ნაწარმოებით კმაყოფილდებიან. „ხევესურეთი შა-მა-კაცი და დედა-კაცი სხვა არა გვარ სამოსელს არ ხმარო-ბენ გარდა შალისას და მათი საცვალიც-კი შინ მზადდებულ-ლი შალისაა. ისინი ამას სიღარიბით ხსნიან და ატყუებენ“⁽⁵⁾. თი, რომ ყოველგვარი ტვირთი ზურგით უნდა ვატაროთო და ამას სხვა ქსოვილი, თუ არ შალი, ვერ გაუძლებს და მა-ლე გაცდებოა“⁽⁶⁾.

რასაკვირველია, ზემოხსენებულ მთიულებშიაც თანდა-თან ვრცელდება, ვაჭრობის საშუალებით, ფაბრიკულ და ხე-ლოსნურ ნაწარმოებთა ხმარება, მაგრამ მაინც მათში ოჯახ-ხურ წარმოებას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში დღესაც ფართო ალავი უჭირავს. დღესაც იქ თითქმის ყოველ ოჯახ-ში ამზადებენ სამრეწველო ნაწარმოებებს. შალის სამოსელი, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა, ხის სამუშაო იარაღები, უნა-გირემი და კეხები, ტყავისა და ქეჩის ფეხსაცმელები, ტყავის გუდები, ქუდები და ქურქები და მრავალი სხვა იქ დღესაც ძველი წესით ოჯახებში მზადდება და ოჯახებშივე იხმარება⁽⁶⁾.


გარდა აქ მოხსენებულ მხარეებისა საქართველოს ზო-გიერთ სხვა მივარდნილ და სავაჭრო ცენტრებს დამო-რებულ კუთხეებშიაც არის კიდევ ოჯახური მრეწველობა და ამ მრეწველობას ხალხის არსებობისათვის თვალ აჩინო მნიშ-ვნელობა აქვს. მაგალითათ, ჯავახეთშიო, ამბობს ნ. ვერმი-შევი⁽⁷⁾, არ მოიპოვება ისეთი ოჯახი, საცა ერთი ან რამდე-ნიმე ქსელი არ იდგეს და შალებსა თუ სხვა ქსოვილებს არ ამზადებდნო.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც ისეთი კუთხეები, საცა ხალხი თავის მოთხოვნილებებს უმთავრესათ თავისი ნაწარმო-ებით იკმაყოფილებს და კარ-ჩაკეტილათ ცხოვრობს, დღეს საქართველოს ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ. ის ეკონო-მიური ურთი-ერთობა, რომელიც არსებობს სვანეთში ან ფშავ-ხევესურეთში, ამ ჩვენ დროში მთელი საქართველოს და-მახისიათებლათ ვეღარ ჩაითვლება. როგორც ვთქვით, იყო დრო, როცა მთელი ქართველი ხალხი მოთხოვნილებათა და-კმაყოფილების საქმეში ისე შინაურულათ გამოდიდა, რო-გორც დღეს სვანები ან ფშავ-ხევესურები. მაგრამ ახლა ისე აღარაა. საქართველოს უუდიდეს ნაწილისთვის ეკონომიურ ცხოვრების ძველი პირობები შეიცვალა და ეკონომიურ ურ-თიერთობათა სახემაც ფერი იცვალა და სულ სხვა კალაპოტ-ში ჩაღდა.

დიდი ეკონომიური ცვლილება დაიწყო საქართველოში რუსეთის შემოსვლის დღიდანვე. საქართველო რუსეთისათვის იყო ცენტრი. კავკასიაში, საიდანაც იგი თანდათან იწვე-და კავკასიის სხვა კუთხეების დასაპყრობათ. რუსეთმა განა-წესა ჩვენში დიდ-ძალი ჩინოვნიკობა, შემოიყვანა ურიცხვი ჯარი და თავის ძლიერების დასამკვიდრებლათ საქართველო-ში და განსეკუთრებით კავკასიაში მრავალი ფული დახარჯა და აურაცხელი სისხლი დააქცია. იმ უზარმაზარმა სტიქიურმა ძალამ, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთი, ჩვენ ქვეყანას მისცა პოლიტიკური მშვიდობა და უშიშრობა. მანამდე ყო-ველ მხრიდან მტრები იკლებდნ საქართველოს. არ დაგვ-კლია ხალხი, რომელსაც ჩვენზე არ გადაველოს და არ გა-დავეკეკნოთ. მთელი მხარე ისე იყო დასუსტებული, რომ ლეკების შემოსევასაც კი ვეღარ უძლებდა. კაცი ერთვერსტს ვერ გაივლიდა უშიშრათ და უხიფათოთ. რა თქმა უნდა,

²⁾ М. Ковалевский и И. Иванюковъ, Въ Сванетіи, „Вѣстникъ Европы“, 1886 წ., VIII, 588, 592.
³⁾ წერილი თავისუფალ სვანეთიდან მ. მუსკრიძისა, „ივერია“ 1901 წ. № 87.
⁴⁾ შეად. М. Мачабели, Экономическій бытъ гусуд. крестьянъ въ Тіонетскомъ уѣздѣ (Матеріалы для изученія экономич. быта гусуд. крест. Зақ. кр., ტ. 5, ნაწ. 1, გვ. 491).

⁵⁾ იქვე, გვ. 472.
⁶⁾ იქვე, გვ. 473, 491.
⁷⁾ Х. Вермишевъ, Экономич. бытъ гусуд. кр. въ Ахалцихскомъ и Ахалкалакскомъ уѣздахъ (Матеріалы, ტ. 3, 2 ნაწ., გვ. 183).



ასეთ პირობებში მიმოსვლა და აღებ-მიცემობის განვითარება შეუძლებელი იყო. რუსეთის ფლობელობის დამყარებით ეს მდგომარეობა ერთი დაკვირვებით შეიცვალა. ადამიანს მოშორდა შიში თავის ფიზიკურ არსებობისათვის. იმავე რუსეთმა მე-XIX საუკუნის პირველ წლებში რამდენიმე შარა-გზა გააკეთა თავისი ჯარის შემწეობით საქართველოში და საქართველოს გარეთაც, — გაჩნდა ტყეები, გასწორა აქა-იქ გაუვალი კლდეები, გასდო მდინარეებზე ხიდები. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ხელათ გააძლიერა მიმოსვლა და ხალხის მოძრაობა.

ამნაირათ, წარსულ საუკუნის დამდეგს ჩვენში მოგროვდა მრავლათ ისეთი ხალხი (რუსის ჯარი და ჩინოვნიკობა), რომელიც არც ხენა-თესვასა და არც მრეწველობას არ მისდევდა, ხოლო ცხოვრებით კი უნდა ეცხოვრა: ეჭამა, ესვა, ჩაეცვა და დაეხურა. ამასთან ჩვენი თავად-აზნაურობაც მაშინვე გაეცნო ასე თუ ისე რუსის ჩინოვნიკების უფრო კულტურულ ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებას და ამიტომ მასაც შესამჩნევათ გაეზარდა და გაუმრავლდა კულტურული მოთხოვნილებები. ვის უნდა დაეკმაყოფილებია ეს ხალხი, ვის უნდა მიეწოდებია ნაწარმოებნი ამ გადიდებულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ? რასაკვირველია, ერთი მხრით ვაჭარს და ხელოსანს, ე. ი. ქალაქს, მის ვაჭრობა-მრეწველობას, ხოლო მეორე მხრით გლეხობას, ე. ი. სოფელს, სოფლის მეურნეობას. და, აი, დადგა ვაჭრობისა და ხელოსნურ მრეწველობის ზრდის ხანა. თფილისის ვაჭრებმა დაიწყეს ვაჭრული დამოკიდებულება რუსეთის ქალაქებთან. და არა თუ რუსეთთან, — დასავლეთ ევროპისკენაც კი გაიწიეს: 1825 წ. რამდენიმე თფილისელი ვაჭარი სომეხნი ქ. ლეიპციგშიაც კი წაივია იქაურ იარაღურკობაზე სხვა და სხვა საქონლის საყიდლათ და ჩვენში შემოსატანათ ⁸⁾). თავის მხრით მთავრობამ 1821 წელს ჩვენში ევროპიდან შემოტანილ საქონლისთვის დაკლებული საბაჟო ტარიფი გამოსცა, რომ ამით უცხოეთის საქონლის შემოტანა კავკასიაში გაეადვილებია და გაძლიერებია. მართალია, ეს საბაჟო ტარიფი 1832 წელს ისევ გააძლიერეს, მაგრამ 1846 წელს ხელ-ახლა შეამცირეს და ასე დაკლებული ბაჟით შემოდიოდა ჩვენში უცხოეთიდან საქონელი 1850 წლამდე. ამ წელს კი ისევ გააძლიერეს ბაჟი, რომ ამით დასავლეთ ევროპის საქონლის შემოტანას ეკლდა, ხოლო რუსეთისას კი ემატა და გაძლიერებულიყო. თუმცა ამ გარემოებამ რუსეთის საქონელს კავკასიის ბაზრის მოპოვება გაუადვილა, მაგრამ ამით ევროპიდან საქონლის შემოტანას მაინც არ უკლია, — პირ იქით, ევროპიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობა ჩვენში ყოველ წლივ მატულობდა ⁹⁾).

ასე და ამნაირათ ვაჭრობა ჩვენში თან და თან ზრდის გზას გაყვა. ხოლო ვაჭრობის ზრდა ნიშნავს იმავე დროს ქალაქის ზრდას ხალხით და ეკონომიურათ. ვაჭრობაში საქიროა საქონლის გადატანი, მუშა, საწყობები და მათი მეთვალყურე, ნაქრები და გამგებლები, მაშასადამე, მეტი ხალხი და მეტი მოძრაობა. და მართლაც ვაჭრობის გაძლიერებას თან მოყვა ქალაქების შესაფერი ზრდა და გაღონიერება. თფილისი, რომელიც 1795 წ. შაჰაბაზმა სრულიათ დაანგრია და ააოხრა, ხელახლა აშენდა და შეიქნა მთავარი ქალაქი არა თუ საქართველოსთვის, არამედ მთელ კავკასიისთვისაც. აქ მოგროვებულ იქმნა მთელი მხარის უმაღლესი ადმინისტრაცია და გამგებლობა. გარდა თფილისისა სხვა ქალაქებსაც დაეტყო გადიდება. ეს ფაქტები, წერილის ციფრებით აქრელებას რომ

არ ვერიდებოდეთ, სტატისტიკურათაც შეიძლება და გამოვიყენებოთ.

ადვილი მისახვედრია, რომ ქალაქის გადიდება და მუშაობის არ მომქმედ ხალხის შემომატებამ ბაზარზე გაუადვილებია საქონლის სამეურნეო ნაწარმოებებს. გადიდა მოთხოვნილება პურის, ღვინის, ხორცის, შეშის, ხის და სხვა ამგვარების და, მაშასადამე, სოფლის ხალხისთვის უფრო ადგილი გახდა ნაწარმოების გასაღება და ამით ფულის შოვნა. ამიტომაც ასე მთავრობისთვის შესაძლებელი შეიქნა, გლეხების გადასახადი, რომელიც წინეთ ნაწარმოების სახით შესდიოდა ხაზინაში, ფულათ ექცია და გადამხდლებზე ფულის გადასახადი გაეწერა. მართლაც ნატურით გადასახადი საუკუნის პირველ ნახევარში თან და თან ფულის გადასახადზე შეიცვალა ¹⁰⁾).

რა თქმა უნდა, ამ შეცვლას თავისთავათ გლეხებისთვის არც ბაზარი გაუდიდება და არც ფულის შოვნა გაუადვილებია; მაგრამ ეს ფაქტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მან იძულებული გახდა ხალხი გაცვლა-გამოცვლისთვის, ვაჭრობისთვის მეტი ყურადღება მიექცია და ამით კარჩაკეტილ მეურნეობის კედელი გაერღვია.

გადასახადების შეცვლაზე მეტი მნიშვნელობა ქონდა ქართველ გლეხობისთვის რუსეთის ხანგრძლივ ომს კავკასიის სხვა და სხვა მთის ხალხებთან. მეომარ ჯარისთვის საჭირო იყო მუდმივ სანოვავის და ბარგის გადატან-გადმოტანა. ამას ასრულებდენ თავისი ცხენებით და ურმებით ადგილობრივი გლეხები, რომლებსაც შრომისთვის ქირა ეძლეოდათ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქართველო ვითარცა გასატარებელი (სატრანზიტო) გზა ევროპის საქონლისთვის. მე-XIX საუკუნის მე-20 წლებამდე ევროპას თავისი სავაჭრო საქონელი სპარსეთში შესატანათ ხმელთა-შუა ზღვით სირიაზე მიქონდა. აღნიშნულ წლებს შემდეგ კი შავ ზღვაზე დაიწყეს გზავნა ევროპიდან სპარსეთისთვის დანიშნულ საქონლისა. მოქონდათ შავი ზღვის პირათ სამეგრელოში და აქედან ხმელეთით გაქონდათ სპარსეთის საზღვრამდე. მთავრობაც ერთ ხანათ ხელს უწყობდა უცხო საქონლის მოძრაობას კავკასიის გზით: გაამარტივა საბაჟო ფორმალიზმი, გააკეთა შარა-გზა თფილისიდან ჯულფამდე (სპარსეთის საზღვარი) და ზოგიერთი სხვა ზომებიც მიიღო უცხო საქონლის გადატანის გასაადვილებლათ. ¹¹⁾ რასაკვირველია, ტრანზიტით, როგორც რუსეთის ომები კავკასიაში, სასარგებლო იყო გლეხებისათვის. მაშინ რკინის გზები არ იყო გაკეთებული: გლეხებს გადაქონდათ საქონელი ნაგებით, ცხენებით, ურმებით და კარგ ქირასაც იღებდენ.

1864—66 წლებში მოისპო საქართველოში ბატან-ყმობა და ცოტა ხნის შემდეგ გაყვანილ იქმნა ამიერ-კავკასიის რკინის გზა, რომელსაც, როგორც ყველას მოეხსენება, ბევრი ადგილობრივი მასალა და მუშა ხელი დასჭირდა. პირველათ მატარებლების ორთქლ-მავალეებს შეშით ახურებდენ, მაშუტის ხმარება იმერეთის რაიონში ამ ათიოდე წლის წინეთ შემოიღეს, მანამდე კი რკინის გზა აუარებელ შეშას ხარჯავდა და, მაშასადამე, ადგილობრივ მშრომელ ხალხს სამუშაოს და ნამუშავარის გასაღების საშუალებას აძლევდა. რკინის გზამ თავის მხრით სულ ერთიანათ შესცვალა მიმოსვლის ძველი წესი, დაუახლოვა როგორც საქართველო კავკასიას, ისე კავკასია უცხო ქვეყნებს. რკინის გზამ მთელი რევოლუცია მო

⁸⁾ Gamba, Voyage dans la Russie méridionale, II ტ. გვ. 209—211; I ტ., გვ. 355 და შემდ.
⁹⁾ А. Аргутинский-Долгоруковъ, Исторія сооружеія и эксплуатаціи Зак. жел. дор., гв. 664—665, 668.

¹⁰⁾ შუა. И. Бахтадзе, Податное обложение госуд. крест. Зак. края, гв. 34—70, 82—102.
¹¹⁾ შუა. Аргутинский-Долгоруковъ, loc. cit., гв. 666—667. Кавказский календарь за 1886 г., гв. 180. Н. Шавровъ, Обзоръ производительныхъ силъ Кавказскаго Намѣстничества за 1879 г. Тифл. 1880 г., гв. 350—353.

ახლინა მიმოსვლის საშუალებათა მოწყობილობაში და დიადი გავლენა იქონია ქალაქების ზრდასა და ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებაზე.

დასასრულ უნდა აღენიშნოთ ისიც, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში დაწყებულია რამდენიმე მთა-მადნის ექსპლოატაცია—შემუშავება, გაყვანილია რამდენიმე ახალი რკინის გზა და მრეწველობის ზოგიერთ დარგებში დაარსებულია ფაბრიკა.

აი, მოკლეთ, ძალიან მოკლეთ, ის მომენტები, რომლებმაც გავლენა იქონია საქართველოს ძველ ეკონომიურ მდგომარეობის შეცვლაზე და ახლის დადგენაზე. ამ მომენტთა ზედგავლენით საქართველოს მეურნეობამ ანუ ეკონომიამ მიიღო მე-XIX საუკუნის გასულს ის ფორმა, რომელსაც ეკონომიურ მეცნიერებაში ხშირათ ფულის მეურნეობას ეძახიან.

რა მეურნეობა არის ეს და რა შინაარსისაა იგი,—ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ

ფ. ვ.

შინაური მიმოხილვა.

დასრულდა ბათუმის საბჭოს არჩევნები. პირველ საარჩევნო კრებაზე ყოველ წინდახედულობას მოკლებულმა მოქმედებამ, როგორც ჩანს, ცოტა ჩააფიქრა ქართველი ამომრჩევლები და დამატებითი კრებაზე რაოდენადმე გაასწორეს უგზო-უკვლობის შედეგები. დღეს 37 ხმოსანთა შორის 17 ქართველია. ამ ნაირათ მაინც ქართველობას ყველა ჯგუფთა შორის უმრავლესობა ეკუთვნის. მერე შეუძლიათ ქართველებს თქვან—გავიმარჯვეთ? არა, ჯერ ეს ძალიან ნაადრევი იქნება. მათი გამარჯვება უნდა იყოს საქმის გამარჯვება. დაიკავით ქალაქის ინტერესები, გულმოდგინეთ შეუდექით საქმეს, მოიზოვეთ მცხოვრებთა სიმპატია მიუდგომელი და დაუცხრომელი შრომით. აი, მაშინ ჩვენც ვიტყვი, გამარჯვება თქვენი არის-თქვა. საზოგადოებრივი ცხოვრებიდან იქნ ვიცით, რომ მრავალ-რიცხოვან კრებულშიც ერთ კაცს, მთელი და მისწრაფებით აღსავსეს, ბევრი გაუკეთებია. მთელი კრებული იძულებული იყო ამ ერთი კაცის აზრი მხედველობაში მიეღო. და რა საკვირველია, ეს უფრო მოსახერხებელი იქნება, როცა ეს თუ ის ჯგუფი მრავალრიცხოვანია. საზოგადოათ, ჩვენ ქალაქის თვითმართველობებში ჯერაც არც ერთი ჯგუფი არაა ფეხზე დამდგარი. თქვენ ვერ ხედავთ აქ რაიმე ორგანიზაციას, ვერ ხედავთ, რომ ჯგუფის წევრები, სანამ საბჭოში ამ თუ იმ აზრს გამოთქვამდნენ, რომ იკრიბებოდნენ ერთმანეთს შორის, რომ თვითონ წინდაწინ გაითვალისწინებდნენ საკამათო საგანს, შეთანხმდებოდნენ და ასე საერთო დასკვნით წარსდგებოდნენ სხვა ჯგუფების წინაშე, აგრეთვე აქ ვერ ხედავთ, რომ ჯგუფი აქტიურათ მოქმედებდეს, დამოუკიდებლათ პროექტებს იმუშავებდეს. ის მხოლოდ კმაყოფილდება გამგეობის კრიტიკით, და მეტი არაფერი. ეს წესი ძირიანათ უნდა შეიცვალოს. ჩვენ ვურჩევთ ქართველთა ჯგუფს აქიდანვე დააწესონ ორგანიზაცია, აქიდანვე შეუდგენ აქტიურ მოქმედებას. მაშინ მიამაღალშიაც უფრო სხვა ნაირათ მოეწყობა საქმე. უფრო შეთანხმდებიან, კავშირი განმტკიცდება წევრთა შორის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახლანდელმა არჩევნებმა გამოაშკარავა ერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა უსუსურნი ვართ ჯერ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. თურმე, ნუ იტყვი, გურულები ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ, მეგრელები ცალკე. ნუ თუ აქ რამე გასაყოფელია? ნუ თუ აქ რამე ინტერესების წინააღმდეგობაა? სხვისი არ ვიცით, და ჩვენ კი აქ ვერაფერ წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ, აქ უბრალო კინკლაობის მე-

ტი არაფერია. და საჭიროა, ამ კინკლაობას აქედანვე მოვდოს ბოლო, რომ სამარცხვინო ზოძხე არ აგვიკარან შემდეგ.

„ცნობის ფურცელი“ შესწავრა „ივერიას“ იმ ლანძღვისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა უძღვნა პირველს. მარა შემოაწერომაც არის და შემოაწერომაც, მას სრულიად გაუწყვეტია ყოველივე კავშირი „ივერიასთან“, ასე რომ მისი სახსენებელიც კი აღარ იქნება ჩვენს რედაქციაში—აცხადებს „ცნ. ფურცელი“. ეს კი, მე მგონია, მოკლებულია ლიტერატურულ შორსმჭვრეტელობას და ბრძოლის ტაქტიკას. თუ თქვენ ვინმესი წინააღმდეგი ხართ, თუ არ მოგწონთ რომელიმე გამოცემის მიმართულება და ზნეობა, საჭიროა მისი სისტემატიური მხილება, სასტიკი კრიტიკა და ბრძოლა და არა ბრძოლის ველიდან გაქცევა და გაბუტული ბავშვივით გამოცხადება, გაჯავრებული ვარ, ენას არ გცემო. ჯერ ერთი ვიკითხოთ, ვინ მისცა ნება, ნება ზნეობრივი, რომელიმე ორგანოს არ ამხილოს შეუფერებელი აზრები და დამახინჯებული მოქმედება მეორე ორგანოსი, თუ კი ის ამას, რასაკვირელია, ასეთათ პოებს? ნუ თუ ეს საზოგადო საქმის სამსახური იქნება და არა უბრალო ჟინის აყოლა? ვიმეორებთ, ბრძოლის მიტოვება ვერაფერი სამსახურია ქვეყნის წინ. ეს გაახარებს უკუღმართათ მოაზრეთ და მეტი არაფერი.

სამშაბათს დანიშნულია თფილისის ფარმაცევტთა საზოგადო კრება ახალი თავმჯდომარის ასარჩევათ. მართალია, ამას წინეთ თავმჯდომარე აურჩევია კრებას, მარა ეს არჩევა არ მოსწონებია აფთიაქის პატრონთ და წინააღმდეგ წესდებისა განუზრახავთ მისი დარღვევა. რატომ, რისთვის? საქმე იმაშია, რომ ეს საზოგადოება შედგება აფთიაქის პატრონთა და აფთიაქის მოსამსახურეთაგან, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. აქამდის საზოგადოება ხელში ქონდა ჩავარდნილი პირველთ და ისინი განაგებდნენ თავის სურვილისამებრ. ახლა კი გამოუღვიძიათ მეორეთაც და მოუნდომებიათ თავისი ინტერესების დაცვა. და რადგანაც დიდი უმრავლესობა ეს უკანასკნელნია, ამისათვის ამათ აურჩევიათ თავმჯდომარეთ თავისი კაცი, რაც არ მოსწონებია დამარცხებულ პარტიას აფთიაქართა და ახლა სურს უკანონო მოქმედებით ხელახლა ხელში ჩაიგდონ საზოგადოების საქმეები. იმედია, ასეთ უწყობას და წესდების აშკარა დარღვევას არ დაანებებენ მათ ფარმაცევტები და არჩეულ გზას არ გადაუდგებიან.

„ახალი მიმოხილვა“ გადმოგვცემს: შავი ქვის მრეწველთა მომავალ კრებას მოხსენდება, სხვათა შორის, ჭიათურაში სხვადასხვა სახლის აშენების საჭიროებაც. საბჭოს ამ სახლის პროექტი შეუმუშავებია ამ ნაირათ: აქ იქნება მთავსებელი სამკითხველო, სხვა და სხვა კაბინეტები, 300 კაციისთვის დარბაზი და სცენა თეატრისა და სხვადასხვა კითხვებისათვის. პროექტით სახლი 54 ათასი მანეთით ედგება. თუ კრება მოისურვებს, საბჭო უთუთო ჭიათურას იქმნეს გადატანილია, ამ შემთხვევაში საბჭოს მეორე პროექტი აქვს დამსაჯებული ჭიათურაში ამ საჭიროებისთვის სახლის ასაგებათ—საბჭოსთვის და იქ მოსამსახურეთათვის; პირველს დასჭირდება 14 ათასი, ქეარეს—25 და სარკია დასჭირდება 60 ათასი მანეთი. ახირებული საბჭო კი ყავს დღეს ჭიათურის მრეწველებს. ნაირ-ნაირი პროექტები თუ გნებავთ, იმას უნდა მიაკითხოთ. რაც შეეხება განხორციელებას, ნულარ იკითხავთ. განხორციელება ახლანდელ საბჭოს არ უყვარს. კრების ინტერესე-

ბის უკუგდება, მისი აზრით აგდება კი მისი ჩვეულებრივი თვისებაა.

აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მრეწველთა მესამე კრებაზე გადაწყვეტილი კითხვა კიდევ გადმოსაწყვეტი და სალაპარაკო იქნებოდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ საბჭოს ქიათურაში გადატანა კიდევ სადავო იქნებოდა? მარა რას იზამთ? ახლანდელ საბჭოს არ სურს ქიათურაში გადავიდეს და არც კრების დადგენილება ხორციელდება. ასე იქნება ყოველთვის, სანამ დღევანდელი საბჭო ეყოლება მრეწველთ. სარეკლამო პროექტები ბევრი იქნება, ხოლო საქმე კი არა. საქირთა მოვლას ბოლო ამ რეკლამების ებოქას. საქირთა საქმეს სათავეში ჩაუდგენ ისეთი პირები, რომელნიც მარტო იმის ცდაში-კი არ იქნებიან, რომ გულუბრყვილო მრეწველებს თვლით აუბნიონ, არამედ ეცდებიან სიტყვა საქმეთ აქციონ და კრების გადაწყვეტილებათაც პატივი სცენ, თავის სავალდებულოთ გახადონ.

* *

ჩვენში სახაზინო გლეხები მრავალია. უმეტესათ თბილისის გუბერნიაში, სადაც ისინი საზოგადო რიცხვიდან 60% შეადგენენ. ამიტომ, რასაკვირველია, ისინი ღირსი არიან პატრონობის, საქირთა მათაც მიექცეს ყურადღება. დიდი ხნის წინეთ მათ დაურიგეს მიწები. მაგრამ დროთა ბრუნვაში ჩვეულებრივმა მოვლენამ აქაც იჩინა თავი. შეძლებულმა შეუძლო დაჩაგრა და ცალიერი დატოვა, საქმე ასეა. სახაზინო გლეხებს ნება აქვთ თავისი უფლება მიწაზე მიყიდონ სახაზინო გლეხებსვე. ამ გარემოებით საკმარისათ ისარგებლეს შეძლებულებმა. მიწის ყიდვა-გაყიდვა მათში გაძლიერდა და ბოლოს უმრავლესობა თითქმის უმიწა-წყლოთ დარჩა, გადატაკდა, ხოლო უმცირესობამ ჩაუგდო ხელში მოძმის შეძლება. ახლა მთავრობას განუზრახავს მოაწყოს მათი საქმე. მოსალოდნელია, რომ ახლა მაინც დაჩაგრულია და დაჯაბნებულთა ინტერესები დაიცვის და მათი უფლება აღდგენილ იქნება.

სხვა-და-სხვა ამბები.

21 დეკემბერს არტისტიული საზოგ. საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ.-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ საღამო, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალივკა (ვიოლონჩინისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროჯი-მუტინი (მოდერალი), ქ. ბაბაევისა, ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში.

გორელებს გადაუწყვეტიათ იანვრიდან დაარსონ სამკითხველო საკრებულო ტაძრის სამრევლო სკოლის შენობაში.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ თფილისში განიზრახეს ჟრთიერთ დამხმარებელ კასის დაარსება მწერლობის მოღვაწეთათვის. ამისათვის არჩეულმა კომისიამ შეიმუშავა წესდება, შემდეგ საზოგადოებამ მოიწონა იგი და წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლათ. ეს წესდება მარტიდან დღევანდლამდე ტფილისის საგუბერნო გამგეობაშია, რომელსაც კარგა ხანია დაუსრულებია განხილვა და ეხლა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლათ კავკასიის უმაღლეს მთავრობას.

რკინის გზების უფროსი ინჟინერი ი. კ. ივანოვსკი აც-

ხადებს: რკინის გზის საავთმყოფო და იქ მოსამსახურე ექიმები ხშირათ ყურადღებას არ აქცევენ ავთმყოფთ და შემწეობაზე უარს ეუბნებიან, ამიტომ გამომიცხადებენ წყევლის ექიმისათვის; თუ დროზე არ აღმოუჩინეთ ავთმყოფლდნხმარებელ ამისთანა ექიმს დაუყოვნებლივ სამსახურიდან დავითხოვ.

ქუთაისის სახელოსნო გამგეობის გაუქმების შემდეგ, გუბერნატორის განკარგულებით, მთელი დაწესებულების ქონება გადაეცა ქალაქის გამგეობას. ხელოსანთა დადგენილების ძალით მთელი ეს ქონება უნდა მოხმარდეს ხელოსნობისავე საზოგადო საქმეს. რადგანაც ხელოსნებს საზოგადო საქმე ჯერ-ჯერობით არაფერი აღმოუჩნდათ და ნივთები ტყუილათ უფუჭდებოთ, ამიტომ ქალაქის გამგეობამ სთხოვა ქუთაისის გუბერნატორს: ნივთები ვაჭრობით გაიყიდოს და შემოსული ფული მოხმარდეს ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებელს, სადაც უმეტესათ ხელოსანთა შვილები სწავლობენო.

ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის გამგეობამ განიზრახა სასწავლებლის შენობა გაათაროვოს და ჩვეულებრივზე მეტი შეგირდები მიიღოს ხოლმე სასწავლებელში.

ამას წინეთ, საღამოს 7 საათზე, თფილისის სადგურის დეპოს უფროსის ე. შვიგანოვიჩის მოკვლა განუზრახავს ვიდაცას: მოულოდნელათ დამბაჩა გაფარდნილა და ტყვიას შვიგანოვიჩისათვის ზურგი გაუკაწრავს და პალტოში გაჩერებულა. მეისრე ანდრია რიბალკინი და მაშინისტის თანაშემწე ჩინაიევი დასდევნიბიან მსროლელს, მაგრამ ვერ დაუჭერიათ, რადგან იმას დამბაჩის სროლა დაუწყია მდევნელების მოსაგერებლათ.

გაზეთების სიტყვით, ყწმ. სინოდს გადაუწყვეტია სამრევლო სკოლის მასწავლებელთ დაუნიშნოს პენსია და ემერიტურა.

იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს პურისა და საზოგადოთ ხორბლეულობის ვაჭრობა, გარდაუწყვეტია კავკასიაში დაარსოს სამეურნეო სასტატისტიკო ბიურო, სადაც უნდა იკრიბებოდეს ცნობები მოსავლისა და ხორბლეულობის ვაჭრობის რაოდენობის შესახებ.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები: 1) საქართველოს კალენდარი, შედგენილი ვ. გუნის-მიერ და გამოც. წ.-კით. გამავრც. საზოგადოებისაგან. კალენდარი მოზრდილ წიგნს წარმოადგენს, სულ 512 გვერდს შეიცავს. მდიდარია ჩვეულებრივი საკალენდრო ცნობებით. ამას გარდა შიგ მოთავსებულია ბევრი სურათი, როგორც ჩვენი მოღვაწეების, ისე უცხოეთის. სალიტერატურო განყოფილება მრავალ-ფეროვანი და მდიდარია. მასთან მეტათ იაფია, ღირს სამ აბაზათ.

2) სახალხო კალენდარი, შედგენილი და გამოცემული გაჩეჩილაძის მიერ. ფასი ორი შაური. ეს კალენდარიც ფასთან შედარებით ვრცელია. საზოგადოთ საქირთა მეტი ყურადღება მიექცეს კალენდრების გამოცემას. ამგვარი გამოცემა ხალხში ძალიან ვრცელდება და სასურველია, რომ შინაარსითაც წიგნი ხალხის მოთხოვნილებებს ემსახურებოდეს. ყოველ უწინარეს საქირთა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ განყოფილებებს. 3. დამაკვირდი და 4. სამშობლოსათვის. ორივე წიგნი მ. გაჩეჩილაძისაგანაა გამოცემული.

კორესპონდენციები.

დ. ხონი. ამ ორი წლის წინეთ დ. ხონის მეზობლათ მდებარე სოფ. ივანდიდის მცხოვრებლები ს. კუხის სამამსახლისის ჩამოშორდნ და დ. ხონის სამამსახლისის შეუერთდნ.—ამ უამათ ხონის სამამსახლისის ირიცხება 1200-დე კომლი მოსახლე. ივანდიდელები, შემოერთების შემდეგ ვალდებული შეიქნენ, ხონელებთან ერთათ, იზრუნენ ყოველი საზოგადო საქმისათვის. ყოველ გადასახადს, თუ ის რაიმე საზოგადოების საქმისათვისა გამოწვეული, ინაწილებდნ ერთმანეთში. რაც ივანდიდი—შემოერთდა დ. ხონს, მას შემდეგ ხონელებმა ორი სასწავლებელი დაარსეს, ერთ მათგანს ეწოდება „ხელისნობის მოწაფეთა შოლა“ შორე კი ორკლასიანი სასოფლო სკოლა, რომელიც იურიდიულთ კურსის კერძო ივანდიდელებს, მაგრამ ეს სკოლა აშენებულია შუაგულ დ. ხონში, რომლის მცხოვრებლებისათვის მეტათ უფრო ხელმისაწვდომია, ვინემ ხატრანთათვის.—სკოლაში მოზარდ ივანდიდელებთა რიცხვი ძალიან მცირედა. ივანდიდს ამ უამათ მასობლათ არა აქვს სკოლა. სასურველია ამ გარემოებას ხონელებსაც მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, ჯა თუმც ივანდიდელებიდან სურთ დახმარება, მათაც აღმოუჩინონ დახმარება და შეძლება მისცენ ივანდიდელებს თავის სოფელში დაარსონ სკოლა.

ხონის ბაზრის ქუჩები არ არიან ღირსეულათ მოკარწყული; ბაზრის ფარგლები მხოლოდ აქა-იქ ბუჩუკავენ, ამის მიზეზი უფულობაა. ბაზარს ძალიან მცირედი შემოსავალი აქვს, რომელიც ბაზრის ყარაულებს ძლივს აკმაყოფილებს. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა რაიმე წყაროს გამოსახვა. ადგილობრივ ბაქაულმა გ. ოქროზინიძემ კვირას 24 გიორგობისთვის წინადადება მისცა ხონის საზოგადოებას დაარსონ საზოგადო აფეთქა. საზოგადოებამ ერთხმით თანხმობა განაცხადა და კიდევ შეადგინეს ოქმი, რომელიც გაიგზავნა დასამტკიცებლათ; თუ ხონელებმა საზოგადო აფეთქა დაარსეს, მოსალოდნელია, რომ წლიურათ 1500 მან. წმინდა შემოსავალი ექნებათ.

ილია ბაბტაძე.

მ. ბათოში. 10 ნოემბერს ბათუმის საბჭოს ხმოსნთა არჩევანზე, როგორც მოხსენება მკითხველს, არჩეულ იქნა მხოლოდ 24 კაცი. საარჩევო კი იყო 41 ხმოსანი და 9 კანდიდატი. დანარჩენების არჩევა მოხდა 1 დეკემბერს. დიდის ათი საათიდან იწყეს ამჩრეულებმა თავის მხარა. 1 საათზე ქალაქის თავმა განხილვა კრება და გამოაცხადა, რომ გამოცხადდა 353 ამომრჩეველი 374 ხმით. 10 ნოემბერს იმ ამჩრეულებს, რომლებიც 1 საათამდის არ გამოცხადდებოდნ, ქალაქის თავის განკარგულებით, ხმის უფლება ეკარგებოდათ. 1 დეკემბერს კი ისეთი განკარგულება არ მოუხდენიათ. ყველა ამჩრეულებს, ვინც კი კენჭის ურის დასრულებაამდის გამოცხადდებოდა, უფლება ქონდა ხმა მიეტა. კენჭის ურის დასრულებაამდის ამჩრეულთა რიცხვი 353-დან 362-მდე ავიდა, ხმები კი 374-დან 385-მდე. ასე რომ წინანდელი შეუსაბამო განკარგულება რომ გამოეჩინათ, 9 ამჩრეველს არჩევის უფლება აღარ ექნებოდა და დაეკარგებოდა 11 ხმა. კენჭი იყარა 54-მა; 24 ქართველმა (მათში 4 მაჰმადიანმა ქართველმა), 13 რუსმა, 10 სომეხმა და 7 ბერძენმა. არჩეულ იქნენ:

- 1, ბარკლანის მოსე 199 თ.—186 შ. 2, ბეთანიშვილი მ. ს.—216 თ.—167 შ. 3, ჯაყელი ნ. გ.—196 თ.—190 შ. 4, ქუთათელაძე ს. ლ.—198 თ.—187 შ. 5, ნაკაშიძე ნ. ზ.—223 თ.—163 შ. 6, ნაკაშიძე მ. მ.—199 თ.—186 შ. 7, ვაგაბაძე ი. დ.—204 თ.—181 შ. 8, ომერ ალა ახი დოდლი—198 თ. 188 შ. 9, ტრინდაფილიდესი ტ. ზ.—220 თ.—165 შ. 10, ხოთარაძი ი. მ.—215 თ.—169 შ. 11, ჩიფინკარაიანი ა. ს.—209 თ.—176 შ. 12, ბაშიკ ოდლი რედუემ—210 თ.—174 შ. 13, ქიქოძე ლ. ს.—204 თ.—181 შ.

მათში 10 ქართველია, 2 სომეხი და 1 ბერძენი. ერთ ქართველს, სამ. ელიაშვილს, ამოუვიდა 193 თეთრი და 192 შავი. რადგანაც სულ 385 ხმა იყო, ამიტომ ბ-ნ ელიაშვილს 1 მეტი კენჭი მის კენჭათ ჩაუთვალეს და რადგანაც, საქალაქო დებულების ძალით, თავისთვის მიტეხული კენჭი ჩათვლილი არ უნდა იქნეს, ამიტომ ელიაშვილი არჩეულათ არ უნდა ჩათვალას—თქვა ქალაქის თავმა. თითონ ელიაშვილმა კი განაცხადა, ჩემს უფთში მე კენჭი არ ჩამიგდია. ჩემი აზრით, ძალიან საეჭვოა, რომ ელიაშვილს თავის უფთში კენჭი ჩაეგდას, და აი რატომ. თუმცა ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ 385 ხმაა და ეს ასისენტიბმაც შეამოწმეს ამჩრეველთა სიებისაგან, მარა ზოგიერთებს შავი და თეთრი 286 გამოუვიდა. მაგ. ნიკო ჯაყელმა მიიღო 196 თეთრი და 190 შავი, ალექსი გუგუშვილმა—176 თეთრი და 210 შავი. ადვილათ შესაძლებელია, თვითონ ელიაშვილს, რომ თავის უფთში ჩაეგდა კენჭი, მაშინ მას მიეღო 194 თეთრი და 192 შავი. ასე რომ რადგან ხმები, შავი და თეთრი ერთად, ხან 386 გამოდიოდ, ხან 385 და ხან 384, ამიტომ დანამდვილებით თქმა იმისი, რომ ელიაშვილმა თვითონ ჩაეგდა თავის უფთში თეთრი, არ შეიძლება და ამიტომაც, მე ბეჯინა, ელიაშვილი გუბერნატორმა არჩეულათ უნდა ცნას.

როგორც ვხედავთ, დამატებით არჩევნებზე ქართველებმა გამოარჯვეს—10 ნოემბრის დამატებებამ წინანდელთან შედარებით ქართველები შეაერთა. ქართველების წინააღმდეგ იყენ ვეკლას სხვა დანარჩენი ხარტიები, თუმცა 20 ბერძენი დანირდა ქართველებს მხარს მოგვემთო, მარა საეჭვოა, რომ მათში 7—8 მეტს მიეტეს ქართველებისათვის თეთრი. ქართველების ხმა იყო 187, ამას რომ დაემატოთ 7 ხმა ბერძენებისა—გამოვა 194 და ვინც ამდენ თეთრს მიიღებდა, ის სომე გაუგანილათ ჩათვლებოდა. ვთქვათ, რომ ქართველები შეერთდნ და იქვე დაუმატოთ „წინანდელთან შედარებით თქმა“. დას, ათი ნოემბრის არჩევნებზე ქართველები უფრო დაყოფილი იყვენ, ვინემ 1 დეკემბრისაზე, მარა ისიც ცხადა, რომ 1 დეკემბერს ბერძენმა ქართველმა ბერძენ ქართველ კანდიდატს შავი მიცა. ამას აქვე დაემატებოთ. მარა მანამ ერთი რამ არის აღსანიშნავი. კერძო კრებაზე, 30 ნოემბერს, ქართველებმა შეიმუშავეს კანდიდატების სია და ერთმანეთს ხატრანის სიტყვა მისცეს, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმ კანდიდატებს გაიყვანდნ. კერძო კრებაზე დასასრულებულ კანდიდატების მეტს ქართველთაგანს უფთი არ უნდა დაეგვა. ასეც მოხდა. ვინც კერძო კრებაზე დასახლებეს, უფთიც მხოლოდ იგინს დაეგვა. ამ კანდიდატებში იყო 24 ქართველი (მათში 4 მაჰმადიანი) და 2 ბერძენი. ამ 24 ქართველში გააშავეს:

- 1, ანჯაფარბე მ. ს.—187 თ. 196 შ. 2, აბაშიძე მექედ ბეკ—186 თ.—198 შ. 3, ბერძინიშვილი ექვთიმე—192—თ. 192 შ. 4, ვახუანი ლ. ზ.—179 თ.—205 შ. 5, გუგუშვილი ალ. ივ.—176 თ.—210 შ. 6, ჯაიანი დ. გ.—180 თ. 205 შ. 7, ნიკოლაძე მათე—192 თ.—193 შ. 8, მჭედლიშვილი ზ.—185 თ. 199 შ. 9, კახანი ივ. მ.—170 თ.—215 შ. 10, სახარცარიშვილი იას. ბ.—192 თ. 193 შ. 11, ჩხეიძე კ. ს.—190 თ.—195 შ. 12, როსტომ ალა ზადე—189—თ. 196 შ. 13, ჩიხლაძე არს. ივ.—139 თ.—246 შ. 14, ელიაშვილი ს. ს.—193 თ.—192 შ. (?)

როგორც ვთქვი, ქართველების ხმა 187 იყო. საიდან მიიღო არ. ჩიხლაძემ 139 თ. და 24 შავი? ცხადია 38 შავი ქართველებს მიურთმევიათ მისთვის, ე. ი. ჩიხლაძე მოუტეუბიათ. მაშ რათ ამბობდნ კერძო კრებაზე—ვინც ხლას დაუახსნელეთ—ყველას თეთრი უნდა მიეცეთ? ამბობდნ, მხოლოდ ამბობდნ და გულში კი სამარცხვინო ტყუილი ედოთ. მე არ შეუდგარ იმის განხილვაში, თუ ჩიხლაძე როგორი ხმოსანი იქნებოდა. მე მხოლოდ ფაქტს ვეხებო და ეს ფაქტი კი უტყუარათ დადადებს, რომ 38 ქართველმა ის მოატეუა. საინტერესოა ვინცადეთ—ვინ არის ეს 38? ჩვენ

ვიცით, რომ 10 ნომბრის არჩევნებზე ჩინდაძე ვოლსკის პარტიის წინააღმდეგი იყო; 30 ნომბრის კერძო კრებაზე ის დაეთანხმა საზოგადოების გადაწყვეტილებას, ე. ი. იმას, რომ 30 ნომბრის დასწავლულ კანდალატებისათვის მას თეთრი უნდა მიეცა. 1 დეკემბრის მას ქართველებმა 38 შავი მთავრის, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს 38 შავი მას ვოლსკის პარტიამ უთავაზა. ვინ მისცა კახანს 17 შავი? იმავე ქართველებმა. ვინ მისცა გუბუშვილს 11 შავი? იგივეა. ხვენ მეტის მეტ სამარცხვინოთ მიგვაჩნია ასეთი საქციელი. არც ერთმა პარტიის წევრმა არ უნდა იკადრეს ასეთი საბუთი ტყუილი, და თუ მას თავისი სინდისი არაფერს ეუბნება ასეთ საქციელზე, საზოგადოებას მაინც უნდა შეერცხვას ასეთი საქციელისთვის, ასეთი ტყუილებისთვის, რადგან ტყუილი ისეთი საქციელი ბრძანდება, რომელსაც ფრიათ მოკლე ფეხები აქვს და ძაღვი იცის თავის ამოყოფას სიტრუის გუბუსკანს. აქ, რასაკვირველია, იმის თქმაც არ შეგვიძლია, რომ ვოლსკის პარტიის წევრთათვისაც არ მიეცეს სხვა ქართველებს შავი. ამ შემთხვევაშიაც, რასაკვირველია, ხვენ იმასვე გავიმეორებთ, რაც ვთქვით ახლაც მატყუარათა შესახებ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვოლსკის პარტიის გაშვებულ წევრებს 185 თეთრ კენჭზე ნაკლები არც ერთს არ მიუღია. მათში ბევრმა მიიღო 192 თეთრი, 189, 190, 187...

ერთი სიტყვით საოჯათ ჩანს: ქართველებს რომ ერთმანეთი არ დაეტყუებინათ, რაც 1 დეკემბრის გაკიდა, იმავე ციცილებით უფრო მეტი ქართველი გავიდოდა.

ბათუმის ახალ საბჭოში იქნება სულ 37 ხმოსანი. ამაში 8 სომეხი, 2 ბერძენი, 10 რუსი და 17 ქართველი. ეს რიცხვი (37), რადგან ხმოსანების საჭირო რიცხვის (41) ორ მესამედზე მეტია, საქალაქო დებულების ძალით, სავსათ ჩაითვლება. ქართველთა უმრავლესობა მთავრობა 4 ხმოსანი და 9 კანდიდატი.

რუსეთის ცხოვრება.

ფინანსთა სამინისტროში დღეს აღძრულია ვითხვას იმის შესახებ, თუ როგორ დამყარდეს განსახლებული წესი სამუშაო დღის ნორმებისთვის, რომელნიც მსახურებენ სავაჭრო-სამრეწველო და წესებულებებში და აგრეთვე როგორ მოეწიოს მათი დასვენების საქმე უქმე დღეებში. სამინისტრო ამ საქმის შესახებ დაკვირვებას საბირჟო კომიტეტებს, მათ შორის სამარისსაც. უკანასკნელმა ხსენებული ვითხვას გადასცა „ნორმების დამსმარებელ საზოგადოებას“ განსახილველად. ამისთვის მოწვეულ კრებაზე, საზოგადოების წევრებმა ერთ ხმათ აღნიშნეს, რომ დღეს სავაჭრო დაწესებულებებში არავითარი წესი არაა, აქ არ იცის მოსვენება არც ხატრონმა და არც მოსამსახურებმა, არც საქმის დღეს და არც უქმს. ამიტომაც მათი აზრით, დროა შრომის ამ დარგში კანონმდებლობა ჩაეროს. ბოლოს კრებამ გადაწყვიტა—სთხოვოს სამარის ბირჟის კომიტეტს შეატყობინოს ფინანსთა სამინისტროს შემდეგი დასკვნა: 1) სასურველია, სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დღე განისაზღვროს 12 საათით. 2) ამ 12 საათში ჩარიცხულ უნდა იყოს სადილობის დრო, რომლისთვისაც გადაიდგვას ორი საათი. ამ ორ საათში ერთ და იმავე დროს ქალაქში ერთგვარ სავაჭრო დაწესებულებებში და კანტორებში სრულიათ შეწყდეს მუშაობა. 3) სასურველია, რომ კვირა დღეს, აღდგომის ოთხ დღეს, 12 დიდ უქმე დღეებში, შობის ორ დღეს, ახალ წელიწადს სულ ეგულა სამრეწველო-სავაჭრო-დაწესებულებები, ბანკები, კანტორები, მაგარი სასმელების სავაჭრო დუქნებიც დაიხუროს მთელ დღეს და მათში მოსამსახურე პირები სრულიათ თავისუფალი იყვნენ ამ დღეებში ჩვეულებრივ საქმიანობისაგან. 4) სასურველია, რომ ეგულა ზემოაღნიშნული აზრები ჩარიცხოს საზოგადო კანონმდებლობაში.

— სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა რაიზანის კომიტეტ-

მა ხმის უმეტესობით გადაწყვიტა: დარჩეს ობშინა, მხოლოდ მოისპოს ურთიერთი მსახურის შეკლები; აგრეთვე გადაწყვიტა—საჭიროა გლეხობა გათანასწორობულ იქნეს უფლებებში სხვა წესებთან და დაარსდეს ეგულა წოდებისთვის სრული არჩევანი სასამართლო.

— გაზეთ „Право“-ს შეკითხვა ერთი ხელის მომწერი: არსებობს თუ არა რამე ნიხრი სამდგდელობისთვის სხვა და სხვა წესების შესრულების სასიყდლოთ და აქვს თუ არა მდგდელს რაიმე უფლება მოითხოვოს ეს თუ ის ფასი, როცა რაიმე წესს შეასრულებს.

„Право“ უპასუხებს: არავითარი ნიხრი არაა დადგენილი. სასურველია კანონის დებულების 184 მუხ. თანახმად, ის მდგდელი, რომელსაც დაუმტკიცდება წესების შესრულებისთვის ფასის ძალდატანებით გამოერთმევა, სამსახურიდან გამოირიცხება და შედავით-ნეთ ჩარიცხება. კერძოთ, სინდის ცირკულიარის თანახმად, აღსარების ჩამართმევისა და ზიარებისთვის არაფერის გამოერთმევა არ შეიძლება. ნება დართულია მხოლოდ ერთი კრუჟის დადგმა, სადაც მსურველთ შეუძლიათ ჩააგდონ თავისი წვლილი.

— ვაჭრობის და მრეწველობის ხელის შეწყობის საზოგადოებასთან არსებულმა კომისიამ მშრომელთა დაზღვევის კითხვის შემდეგი დადგინა: საჭიროა შემოღებულ იქნას სავალდებულო და სავროთ დაზღვევა ქირით მომუშავეთა.

— ნიჟეგოროდის გუბერნიის საგუბერნიო საერობო კრებამ მოისმინა საერობო გამგეობის მოხსენება, საიდანაც ვხედავთ, რომ საგუბერნიო საერობო საქმეთა საკრებულომ მოხსენიებული წინადადებით საერობო კრების გარდაწყვეტილება, რომელშიაც ერობა შუამდგომლობდა საერობო საერობო ორგანოს დაარსებას, აგრეთვე მოისმინა მოხსენება, რომ გუბერნატორმა უარი განაცხადა მთავრობასთან შუამდგომლობაზე იმის შესახებ, რომ ერობათა შორის კავშირი გააღვივდეს. კრებამ გადაწყვიტა განსახილვოს სენატში ორივე საქმე.

— კიევის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ დაიბეჭდოს და დაუფინანსდეს დაზღვევის ეგულა სახელმწიფოში სამუშაო დღის რაოდენობის შესახებ წესები. ეს წესები უნდა იყოს გამოკიდული თვალ-სიხანო ადგილზე. პოლიციამ უნდა ადევნოს თვალ-ური წესების შესრულებას და, ვინც დაარღვევს ამ წესებს, მსახურის გებაში მისცეს. დაბეჭდილი წესები გამოკრეფილია სახელმწიფო მრეწველობის შესახებ დებულებისაგან. ამ დებულების ძალით, კვირაში ითვლება 6 სამუშაო დღე. კვირას და თორმეტ დიდ უქმეებში მუშები არ უნდა მუშაობდნენ, კარდა აუცილებელ საჭიროებისა. ებრაელ ხელმწიფის ნება ეძლევა იმუშაოს ამ დღეებში, მაგრამ იმ პირობით, რომ მან არ ამუშაოს ქრისტიანი ნორმები. ქრისტიანმა ხელმწიფის არ უნდა ამუშაოს ებრაელი მუშა იმ დღეებში; როცა ებრაელთ სარწმუნოება უღკრძაღვს მუშაობას. სამაგიეროთ მათ შეუძლიათ ამუშაონ ებრაელები ქრისტიანთა უქმე დღეებში. ხელმწიფის სამუშაო დღე ითვლება დილის 6—7 საათიდან საღამოს 6 საათამდე. აქედან უნდა გამოირიცხოს ნახევარი საათი საუზმისთვის და საათი ნახევარი სადილისა და დასვენებისთვის.

— „Развѣдчик“-ში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება მოსკოვის ოლქის ჯარების მიმართ: სამწუხაროთ, სადღაობის ცემა, როგორც დაბალ უფროსებისაგან, აგრეთვე ავიცრებისაგან, თუმცა იშვიათათ ხდება, მაგრამ მაინც არსებობს ჯარში. ვაქცევ უფროსთა ურადლებას ამ სამწუხარო მოვლენას და ვითხოვ, რომ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ჯარებში ცემა-ტყუბის მოსახილვით. გაფრთხილებით, რომ ამიერიდან დამნაშავეთ სასტიკი სასჯელი მოეღოს.

სასწავლო-განათ.

იტალია. სასწავლო მისწრაფება სულ ყველა ქვეყნებში ახლა ისეთია, რომ ცდილობენ მოქალაქეთათვის საერთო სასწავლო საშუალებები თვითონ ქალაქმა წარმოეყოს. ამის ეძახის მუნიციპალურ სოციალიზმს. სხვათა შორის, ამ დღეებში იტალიის პარლამენტებმა მიიღო კანონ-პროექტი სასწავლო ხასიათის წარმოებათა მუნიციპალიზაციისა, რომელიც მეტის-მეტათ შეუწყობს ხელს ამ საქმის განხორციელებას.

✱ კანონდების სამინისტროს პრეზიდენტი ერთ უმთავრეს მუხლს შეადგენს ცალ-ქმრის გაყრის დაკანონება. სამინისტრომ კიდევ წარუდგინა პლატან თავისი პროექტი. ამ განკარგულებამ ფუნქციონირებას სულ ყველა ბნელი ძალები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან მოქალაქეობრივი თავისუფლების განხორციელების და სურთ მათი ძველებურ, დესპოტიურ პრინციპზე იყოს აკეზებული. 22 ნოემბერს პლატამ მიიღო პეტიცია; ის ითხოვს არ მიიღოს პლატამ მთავრობის კანონ-პროექტი, რომელიც გაყრას დააკანონებს. პეტიცია შეუდგენია იტალიის კლერკალურ კომიტეტს, მას ხელს აწერს 31/2 მილიონი კაცი; ის იმდენათ დიდია, რომ შეიცავს 177 ტომს. პლატის ბიურომ გადააწვდომ თვლი ამ საყურადღებო ქაღალდს და აი რა შეაჩინა. დიდი უმრავლესობა ხელის მომწერთა უმრავლეს წილს კითხვის არ მტკიცებ და მხოლოდ ჯგუფები დაუსვამთ, ბევრ შემთხვევაში ხელი ისეა მოწერილი, რომ ვერაფერს გასჩვენებ, გარდა ამისა უთვალავ-ჯერ გვარები მოწერილია ერთი და იგივე ხელით. რასაკვირველია, ასეთ საბუთს, რომელიც თითქმის ხელისაწერს გამოთქვამს, დიდი ფასი არ ექნება და არც მიაქცევს ვინმე ყურადღებას.

ინგლისი. დღეს ინგლისი განიცდის დიდს სამრეწველო კრიზისს. ამის გამო უთვალავი მუშა უსაქმობაა. ბევრი მათგანი, რა კი საქმეს ვერ მოუძებნა, შედის სულდათათ. სულ ყველა დიდ ქალაქებში კრებიან შემოწირილობას უსაქმობის მუშებისათვის უფასო სასაიდუმლოს განსაძაბავათ. ღანძრავი არ უნდა, რომ დღევანდელი უნუგემო მდგომარეობა მშრამელი სახლისათვის სამსრუთ-აფრიკის ომის პირდაპირი შედეგია. ამ ომმა გამოიწვია გადასახლების უცნობი ზრდა, ზოგიერთ წარმებებში დრებით მუშათა დიდი რიცხვის შეკრება და ბევრი სხვა ისეთი მოვლენები, რომელთაც აუცილებლათ უნდა მოეფლად კრიზისი. ერთი მიტინგის ორატორი ამბობს: ინგლისს ამ ომში დაქვარჯა ორას-ორმოცდაათი მილიონი სტერლინგი (სტ. 10 მ.), 25 ათასი კაცი და ეხონა, 70 ათასი დაიჭრა ან ავით განდა და 17 ათასი სიმუდამით დასახინდა. აი აქედან ვხედავთ ჩვენ, თუ რა უტაქტოთ იქცეოდა ინგლისის მუშების უმეტესობა, როცა ომის დროს პროტესტის მაგიერ ჩემპიონების იმპერიალისტურ პოლიტიკას «ვაშას» უყვიროდა.

გ ვ ა უ ი

(გ. ვერესაევის).

„40 კაცის სული ანუ 8 ცხენი“... ჩვენი მეოთხე კლასის ვაგონში, მართალია, ცხენები არ ყოფილა, მარა ხალხი კი, თუ ბავშვებსაც მივთვლით, 40 სულზე გაცილებით მეტი იყო.

პაწია ფანჯრებიდან ჩამავალი მზის სინათლე ჩამოდიოდა, მისი სხივები ოქროს სვეტებით შემოკრულიყვნენ ხიზანთა ბნელსა და დახშულ ვაგონის მტერიან ატმოსფეროში, და ციმციმით განათებდნენ ხან ქონით გამურულ ყურებს, ხან ბავშვების ქოჩორზე, ან დახვრილ, ქუქუიან ჩაფრების ხროვანზე გაიღვებდნენ, ვაგონი ჯანჯვალით მირახრანებდა, შიგნით მახორკისა, ხახვის და ბავშვების ჩერების სუნი იდგა.

ხიზნები უმთავრესათ ჩერნიგოვის გუბერნიიდან იყვნენ, უფრო ცოტა ტულუიდან. ჩერნიგოველებს გვცათ თეთრი ტი-

ლოს პერანგები, და თეთრივე მოსახურავები ესხათ. ისინი ზოგი ჩამომსხდარიყვნენ, ზოგიც წამოწოლილი ყურს უგდებდა ერთი დაბალი და ჩამოკონკილი წითელი წვეროვანი მუხრან ლაპარაკს. მოხუცს ემჩნეოდა, რომ გულზე რაღაცეები ეძვებოდა ღმერთს აწვა. სიტყვები ნაკადულივით შეუწყვეტლათ გამოხდილი და პირადან. რადგან ვაგონის რახა-რუხი სმენას უშლიდა მაყურებლებს, ის, რაც შეეძლო, ხმა მაღლა ლაპარაკობდა, თითქმის დიდი შეკრებულობის წინაშე სიტყვას ამბობსო.

— 40 წლის წინეთ, ორატორობდა ის, ჩვენ სოფელში 23 ოჯახი იყო, ახლა კი 65 ითვლება, და თითო ოჯახში ერთათ, სამ-სამი მამაკაცია, ზოგან ხუთიც, აი. ხალხი სულ იზრდება და იზრდება, მრავლდება, მიწა კი არ იზრდება. მიწა მიწას არ შობს, რაც ხუთს ქონდა წინეთ, 50-საც ის აქვს ახლა. როგორ გინდა იცხოვრო? ტრიალობ, როგორც ყვავი სარის წვეროზე, და რისთვის კი, არ იცი: ბავშვები, როგორც კი წამოიზრდებიან, გარეთ სამუშაოზე უნდა გაუშვას, მერე შინ აღარც კი ბრუნდებიან, რომ მობრუნდნენ — საქმეელი არ გაჩნით რა.

წვალობ, ფორხილობ რაღაცას შენ და შენი დედაბერი, მარტოკა... გვაშინებენ: „გავყინავს ციმბირშიო, ჰავა ცუდიაო“. ეპე! მან ხელი დააქნია. მერე რა! ჰავა ჩვენში კარგია, მარა მოსავალი ძალიან სუსტობს. მიწის მუშაობა შრომათ არა ღირს. ისევ უნდა გარეშე საქმეზე წახვიდე. მერე რა თავს გავართმევთ ჩვენ სხვა საქმეს? ჩვენი საქმეა — გლეხობა, მიწა.

ჩერნიგოველებიც თანხმობის ნიშნათ თავს უქნევდნენ. მოხუცმა ვაკრა წუწუწუ და მოუკიდა მქრალ პაპიროსს.

— რომ წახვიდე გარეთ, რა მოხელე ხარ? რომ ვერაფერ სახეიროს გააკეთებ! განაგრძობ მან. კარგათ ცხოვრება გინდა? კი მარა, რომ არსად არი? არა, ის ჩვენი საქმე არაა. ჩვენ სიღარიბეს შეჩვეული ვართ, სოფელურათ გამოვზრდილვართ. ოღონდ პური გვქონდეს საქმელათ საყოფი და მეტი არ გვინდა!.. აბა რაი? ეკითხებოდა ის ვიღაც მსმენელს, შენ ვითომ ცოტასა სვამ? მაშ ცოლი რათ დაიარება სარათანის ამარა? რატომ დაქედლი ფეხსაცმელები არა აქვს? ძმაო! და ხელი დაიქნია.

— აი, ძმაო, რას გეტყვი, მომიბრუნდა ის მე, --თვითონ ვართ ჩვენი თავის დამღუბველი. ახლანდელ დროში ყველა გაუტანელია. წინეთ უფრო შვიდობიანი იყო... ისე ასრულდებდა ამ სოფლის ცხოვრებას, რომ არაფერი არ იცოდა... ახლა ცხოვრებაც აღარ შეიძლება, სწორეთ აღარ შეიძლება. სახლ-კარს მოშორებულა, ერთ ადგილას ბინადრობა აღარა აქვს... ვავთხოვე, ბატონო, ჩემი ქალიშვილი ერთ კარგ სოფელში, აი მარა გზის პირათ რომ არის, ტულიდან რომ წამოხვალ, ვაჟი მქედელია, მოსკოვში მუშაობს, ფულის შოვნა კარგი აქვს. მეც ამან შემაცდინა. საქმით კი ავის უარესი გამოდგა... ერთი კვირა კი გაატარა ქალთან და მერე გასწია მოსკოვს და იქ ცხოვრობს, ის იქაა — ქალი დედამთილთან. ფულებს თავის დროზე უგზავნიდა, მარა როცა მოვიდოდა უქმე ღვებზე, ნულარ მეტყვი, რას ჩადიოდა. სული წმინდის მოფენის დღეს თავი გადაახეთქა შეშის ნაპობით, ერთი ტასტი სისხლი კი დააქცია საბრალო ქალმა. „შენი შეხედვით შე სოფლის გომბიო, გული მეხევაო. ჩაკვდებოდე მაინც მალო“... აზობდნენ, რომ მოსკოვში ვიღაც ქალს გადაკიდებია და იმასთან ცხოვრობს, შვილებიც შეძენიაო. წავიდა ჩემი შვილი მოსკოვს და შეასწრო!.. მაშინ რაღა უნდა ექნა, გაავდო საყვარელი და წამოყვა შინ. მარა დაიწყო ლოთობა, დიდიდან სადამომდი სვამდა, ქალს იმდენს სცემდა, რომ სიკვდილზე მიაყენებდა. მერე ცოტა ვითომ შეჩერდა, დამშვიდდა...

მოხუცმა დაათვა პაპიროსი, გასრისა ცეცხლი თითებოთ, ნაწვავი გადისროლა.

— ერთხელ სული წმინდის მოფენის დღეს დაწვა თავის ცოლთან ლოგინში, განაგრძო მან, მოხვია ხელი და დაუწყო ალერსი: კმარა ჩვენ შორის ამდენი ხნის უკმაყოფილებაო, ახლა მკითხავის შელოცვილი არაყი გამოვართვი, ის დავლიოთო, მარა უწინ შენ უნდა დალიოვო. ქალს შეეშინდა, რომ დათვრეს, ისევ ცემას დამიწყებსო, —ახლა არ შემიძლიაო და მერე დავღვეო. რამდენიმე წვეთი სასმელი ქურქზე გადასხმულიყო ბნელაში. დილას, როცა ინათლა, შეხვდა — მთლათ გატრუსულიყო ქურქზე ის ადგილი: თურმე არაყი კი არა, საწაშლავე ყოფილიყო... ამისთანა ნადირი შეიქნა ზოგიერთი გლეხი... ამ შემთხვევის შემდეგ წაიყვანა ქმარმა ის ბაზარში, უკიდა ახალი ფეხსაცმელები, თავსაფარი, მერე შეიყვანა სამქედლოში და ჩამოარჩო.

მოვიდა ხალხი, ნახეს — ბაწრითაა ჩამოკიდებული, ფეხსაცმელებიც იქვე აწყვია, ვითომც თავის მშობლებთან მიდიოდაო, ე. ი. ჩვენთან. ის პასუხის გებაში მიცეს, ჩვენც დაგვიბარეს სასამართლოში, ფიცი ჩამოგვართვეს. იმან თქვა: „მე მაგისი არაფერი ვიციო!“ ჩვენ გვკითხეს: „უკმაყოფილო იყვენ ერთმანეთშიო“, — იყვენთქო. — ასე თქვეს: „სჩანს, თვითონ ჩამოუტრია თავიო“. იმას ექვსი თვის ციხე მიუსაჯეს და რალაც ამდენი დრო სალოცავათ ყოფნა. ამ დროს, მეფე მოკვდა — თუ მემკვიდრე შეეძინა, ყველა დატყვევებულთ აპატიეს დანაშაული, ასე რომ ის არსად არ მჯდარა, მაშინვე ჩამოვიდა, მალე მოსკოვში წავიდა თავის საყვარელთან. ამბობენ, შერთო კიდეცო... ასეთი საქმე იყო... მოხუცმა გადაუსვა თავზე ხელი მის გვერდში მჯდომ 8 წლის ლამაზ ცქრიალა ქალიშვილს, რომელსაც თავი წითელი თავსაფარით ქონდა უკან წაკრული.

— აი კიდევ ჩემი ქალიშვილი; ეს კი უნდა სოფელში გლეხს მივათხოვო, რომ ნამდვილი მიწის მუშა შეიქნეს, ღიმილით სთქვა მან, თუმცა თვალში მოსული ქონდა ცრემლები, ხმა უკანკალებდა. ჩვენ კი არ გვგანან გლეხები, დიდი და პატარა, ქალიან-კაციანა მიწის დატრიალებენ, სულ ზორბა, მოსული ხალხია... — უფრო კარგათ და ღირსიანათ გაიზრდები და არა უთავბოლო მოხეტიალეთ... — გინდა, გოგო, გლეხს მივათხოვო? — მინდა, უპასუხა ქალიშვილმა დარცხვენით და თავი ჩალუნა.

— აი, აი... მოხუცმა გულიანათ გადინახარა... „ცუდი ჰავაა“. რა უყოთ მერე, კაცი ყოველგან გაძლებს. მაგას ჩვენთვის არაფერი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გვინდა მხოლოდ რომი მაძღრათ ვიცხოვროთ. ჩვენ გლეხობას, რუსეთში, ბოლო ეღება. არავისთვის აღარ არის საქირო... მშვიდობით — იქნება იქ ჩვენ უკეთაც ვიცხოვროთ. სწორეს ვამბობ, არა!... მან მედიდურათ გადახედა ხალხს, მოიწმინდა თვალები, ცხვირი ტანისამოსის სახელოთი და მხიარულათ გაიცინა.

— გლეხის დასასრული მოვიდა, — ეს ნამდვილია, თქვა ერთმა წვერიანმა ჩერნიგოველმა, მას მალალი შუბლი და მოწყენილი, მაგრამ ჭკვიანური თვალები ქონდა. — შეუძლებელი შეიქნა სოფელში ცხოვრება. რომ არ გგონია, ის გაწუხებს. ვერაფერს ვერ გააწყობ, ძალა არ გაქვს. ჩვენში აზნაურების მიწა ტარასკომ შეიყიდა, კიეველი მდიდარია, ცნობილი, კიევს იქით იმოდენა ადგილები აქვს, რომ თვალს ვერ გადაუწვდენ. გლეხს კი საბალახო აღარ რჩება, საქონელი ვეღარსად გაუდენია. ტარასკოს მოურავი ისეთ პირობებს გვთხოვს, თითქო ყმები ვიყოთ, მთელ ზაფხულს ჩვენთვის იმუშავეთო. შევეუდებით პირობის წერას, მწერალმა მაშინვე თქვა: „ამ პირობის აღსრულება ყოველათ შეუძლებელიაო“. და უსაბალახოთ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლია, სათიბები

ძალიან ცოტა გვაქვს. რა უნდა ქნა? არც შებრალება, არც მოწყალება იმან არ იცის.

— ერთი ლა დაგვრჩენია — გადავიხვეწოთ — ამოვრჩიოთ ჩვენი ლაპარაკი ახალგაზრდა შაგვრემანმა ყმაწვილმა, რომელსაც ის იყო შავი უღვაშები ახლათ ამოსდიოდა...

— სადაც იმან მიწები შეიძინა, სუყოველგან ხალხი გაურბის... ცხოვრება აღარ შეიძლება...

ჩემ ყურადღებას იქცევდა მეტად მოხუცებული ჩაბუა რომელიც აქვე ახლოს ჩამომჯდარიყო, წვერი გრძელი და გაბურძნული ქონდა, თვალები გამოშტერებული ქონდა, ქვემო ქუთუთოები დაწითლებოდა და გადმობრუნებულა; უკბილო პირი ნახევრათ დაელო, და გულ მოდგინეთ ისმენდა ლაპარაკს. ხან და ხან გათეთრებულ თავს აქნევდა თანხმობის ნიშნათ.

— წინეთ 8 წლის განმავლობაში ჩვენ მიწას გერმანელები ფლობდენ, ამბობდა გრძელ წვერა ჩერნიგოველი, მარა მაშინ უფრო იოლათ გამოვდიოდით.

— მოსამართლეებათაც ისინი იყვენ, მარა მაინც ჯობდა, დაუმატა სულ გათეთრებულმა, გრძელ უღვაშებიანმა გლეხმა, რომელსაც ნიკაპზე ხშირათ პარსვის გამო ძაგარივით წვერები ამოდიოდა.

— თქვენ კი არ გიცდიათ ადგილის ყიდვა? არ გინდოდათ? შევეკითხე მე!

— ადგილის ყიდვა!.. ჰმ! ასი მანეთი ჯერ ქრთამათ უნდა მისცე მოურავს, გერმანელი და ებრაელი ამას მოახერხებს, ჩუმათ ჩაუღებს ხელში და გაიჩარხა საქმე. ჩვენ კი სანამ თემში ას მანეთს მოგბოქავდეთ, ვგონებ, ქვეყანა უფრო მალე დაიქცეს. არა, უნდა გავიქცეთ, გადავიხვეწოთ, სხვა გზა არ დაგვრჩენია.

— იქ, ციმბირში, ადგილი ბლომათაა, იმედიანი კილოთი ჩაურთო ერთმა, იქ მაინც ყველას საკმაო გვექნება, შევიწროებული არ ვიქნებით, თავისუფლათ ვიცხოვრებთ.

მისმა სიტყვებმა ყველა გამოაცოცხლა, ლაპარაკის მწუხარე კილო შეაქვლევინა. უმიწაწყლობით გამოწვეული გულის მქენჯნავი დარდი ნელ-ნელა ვაქრა მომავალში ბრწყინვალე იმედების გავლენით, — იქ ადგილები ბევრია, ეს ნამდვილია, დაემოწმა გრძელ წვერა ჩერნიგოველი, ჩვენ მარიანის მაზრაში ხუთმეტ-ხუთმეტ დესიატინას გვაძლევენ. მიწა კარგია, მდინარეც ჩამოუღის, კაი საცხოვრებელია, პურიც მოდის. — ჩვენსავით კი არ ცხოვრებენ, დაუმატა მეორემ, იქ ჩვენმა გაგზავნილმა კაცმა გადმომცა. ბიძა ყავს ციმბირში: ცხრა ცხენი ყავსო, რვა ძროხაო, ღორები, ცხვრები, პური ათას ფუთამდე მოუღისო. მისი ქალიშვილები აზნაურიშვილივით ირთვებიანო. ერთათ სტუმრათ წავედით მეზობლისას და მითხრეს, ჩვენი ქურქი მოისხი, თვარა გვრცხვენია, ვერ გავამხელთ, რომ ჩვენი ნათესავი ხარო.

— ამბობენ: „ჰავაა ცუდიო“, წამოიძახა ერთმა, მარა ამისთანა ჰავაში იქნება გლეხისთვის უკეთესი საცხოვრებელიც იყო.

ყველას სახეზე მხიარულობა დაეტყო, თვალები უკინოდათ, მხოლოდ მოხუცი ბაბუა, წითელ ქუთუთოებ გადმობრუნებული, წინანდებურათ აქნევდა თავს და პირდაღებული, ეხლა ცის სივრცეს გაყურებდა თავის ფერ ჩამკრთალი თვალებით. ეტყობოდა, იმას წარმოდგენილი ქონდა მხოლოდ სიციფე, ყინვა, სიბნელე. მატარებელი სადგურთან გაჩერდა. მე გამოვემშვიდობე ჩემ მოსაუბრეებს და ჩამოვხტი მატარებლიდან. ლიანდაგის მეორე მხარეს მალალი მუხნარი ამართულიყო და ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებს ეალერსობოდა, გრილი ნიავისგან ფოთლები ნაზათ ირხეოდენ, აბიბ ნებული მინდვრიდან მშვენიერი გამაცოცხლებელი სუნნი მოდი-

ოდა ყვავილებსა, ჰაერში გაისმოდა კრიკინების სიმღერა... გააწკარუნა ზარაჟი და მატარებელმაც გასწია თავის გზაზე. მე ურმით გავემგზავრე იქვე მთაზე. შორს მინდვრებ შუა მისრიალებდა მატარებელი, მტვერსა და ბოლოში გახვეული. მე დიდხანს მივსტკვროდი იმას უკან, მატარებელი გაჩქარებული მიცურავდა აღმოსავლეთისაკენ, თითქოს ისიც ვიღაცას გაურბოდა.

არიოსი.

ბ ა ლ ა რ ა წ ე რ ი ლ ი .

„ივერიის“ მე-252 ნომერში მოთავსებულმა ბ. თფილისელის წერილმა თავად-აზნაურობის შესახებ დიდი პროტესტი გამოიწვია ჩვენს მწერლობაში. მისი მთავარი აზრი შემდეგია: წარსულში საქართველოს მეთაური და მისი ბედობაობის გამგე იყო თავად-აზნაურობა. ამიტომ დღესაც ასეთი როლი უნდა მივანიჭოთ მასო. ეს აზრი არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენს მწერლობაში. „ივერია“ დღიდან თავის დაარსებისა ამას ქადაგებდა და ქადაგებს დღესაც (იხ. № 258, მეთაური წერილი) და თუ მაინც თფილისელის წერილმა გამოიწვია ხმაურობა—ამის მიზეზი ავტორის გულახდილობა და უკიდურესი ლოდიკური დასკვნებია. ის არ მალავს იმას, რასაც მისი თანამოაზრენი მალვენ და დაწყებულ ლოდიკის ბოლომდის არ ათავებენ.

წერილის ავტორი მეცადინეობს თავად-აზნაურობის მნიშვნელობა რაც შეიძლება გააზვიადოს, ხოლო მისი მოპირდაპირენი კი ამცირებენ. პირველი ქება-დიდებას ასხამს მას, მეორენი კი წყევა-კრულვას უგზავნიან. ერთი გაიძახის ბრწყინვალე წოდებამ შექმნა საქართველოვო, მოწინააღმდეგენი კი უპასუხებენ მას—არაფერი არ შეუქმნიაო. ერთი სიტყვით, ერთის გაზვიადებას თან მისდევს მეორის უარისყოფა, ერთის უკიდურესობას მეორის უკიდურესობა. ჩვენ გვგონია, არც ერთი ეს შეხედულობა არ ეთანხმება ისტორიულ სინამდვილეს და თანამედრველ მეცნიერებას. ბ. თფილისელის მოპირდაპირებმა ვერ გარკვევს აღძრული კითხვა იმით, რომ ამ საგანს არ შეხედეს ისტორიულათ, რისთვისაც კითხვაც ყალბათ დაისვა.

მაშ რაშია საქმე?

საკამათო საგანი ასეა აღძრული: რადგანაც თავად-აზნაურობა ედგა სათავეში ძველ საქართველოს, ამიტომ ახლაც ის უნდა ედგესო. ამ ერთ კითხვაში მოთავსებულია ორი კითხვა: რა გააკეთა წინათ თავად-აზნაურობამ და რის გაკეთება შეუძლია დღეს. განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

პირველი კითხვა:

რა როლს თამაშობდა წარსულში მოწინავე წოდება?

თვითთელი ისტორიული ხანა წარმოადგენს ერთგანკერძოვებულ მთელს, რომელიც ძირიანათ განსხვავდება მეორისაგან. რანაირი ეკონომიური წყობილებაც არის, ისეთივეა პოლიტიკური, იურიდიული და იდეური ურთიერთობაც. თვითთელი ასეთი ხანა წარმოშობს ერთ რომელიმე კლასს და მას ანიჭებს მოწინავეობას. ეს კლასი მეთაურობს ქვეყანას და ყოველივეს აწყობს თანახმათ მისი ინტერესებისა და სურვილებისა. ეს ინტერესები და სურვილები რამდენიმეთე თანხმება მთელი ერის ინტერესებს და ამიტომ ერიც მას ცნობს თავის უფროსათ. და სანამ ეს ასეა, მანამდის მოწინავე კლასიც ირჩენს ბატონობას.

განვიხილოთ ამ შეხედულობით დეაწლი თავად-აზნაურობისა საშუალო საუკუნოებში. ამ დროს საძირკველი ქვეყნის წარმოებისა იყო მიწათ-მფლობელობა და მეურნეობა. მაშასადამე მიწათმფლობელნი უნდა ყოფილიყვნენ გაბატონებულნი,

ხოლო მიწის მუშაკნი მათი მონა-მორჩილნი. ამიტომ რაღა გასაკვირალია, მემამულენი ანუ თავად-აზნაურობა მდგარიყო ხალხის სათავეში და თავის ნებისამებრ ეუფლონო: მისი არსებობის დედა-ძარღვი იყო მამული და ყმა, მამულადვე ვისაც მეტი მამული და ყმა ეყოლებოდა, ის იქნებოდა უძლიერესი მებატონე და ბურთი და მოედანი მას დაარჩებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო თავის სამფლობელოს გაფართოვება, როგორც შიგნიდან ისე გარედან. ის ებრძოდა როგორც მის მსგავს ფეოდალს, ისე გარეშე მტერს. პირველით ის თესავდა შფოთს და ძალმომრეობას ქვეყნაში, ხოლო მეორით იცავდა იმავე ქვეყანას გარეშე მტერთა შფოთის და ძალმომრეობისაგან. ორივე იყო მისი სასარგებლო, ხოლო უკანასკნელით მასთან ერთათ სარგებლობდა თვით ერიც. ამისათვის ბ. თფილისელი სრულ ქვემარტებას ამბობს, როცა სწერს, რომ თავად-აზნაურობა იცავდა სამშობლოსო. მაშ ვის უნდა დაეცვა, თუ არა მას? ქვეყანა მთელი მისი ავლა-დღეებით ეკუთვნოდა თავად-აზნაურობას და როცა ის იცავდა ქვეყანას—ამით ის იცავდა თავის საკუთრებას, თავის ბატონობას და ძალმომრეობას. ის ძალით ირჩენდა ძალას. ის ასუსტებდა გარეშე მტერთ, რომ მით გაძლიერებულს დაესუსტებია შინაური მტრები. ევროპაში, მაგალითათ, გლეხ-კაცობას იარაღის ტარების ნებაც არ ქონებია და, როცა საფრანგეთში გლეხთა არეულობა მოხდა თავადების წინააღმდეგ (ჟაკერია), ისინი ცუდით, ბარით და სხვა ასეთი სამუშაო იარაღებით იყვენ აღჭურვილნი. იქ გლეხი ომში არ გადიოდა, ამის უფლება არ ქონებია. ან რატომ უნდა გასულიყო, რა უნდა დაეცვა, როცა არავითარი საკუთრება არ გააჩნდა. მემამულე იცავს თავის მამულს—რა არის აქ გასაკვირალი? აქ იღვია სამშობლოსი სრულიად არ არსებობს, ფეოდალის სამშობლო მისი კარ-მიდამოა და მეტი არაფერი. ამიტომ დასავლეთი ევროპის ფეოდალიზმი სრულ ლოდიკაში იყო, როცა მის საკუთრებას თვითონ იცავდა და არა ყმები. ჩვენში კი ომში ყმებსაც გაიყოლიებდენ და თავის საკუთრებას მათი სისხლით იცავდენ. ჩვენებური გლეხი ორნაირ ტანჯვას განიცდიდა: მას ბატონი კიდევაც უნდა ერჩინა და კიდევაც მისთვის მტერს შეკვდომოდა. ასე რომ ქვეყნის დაცვაში ჩვენებურ გლეხს გაცილებით მეტი წილი უდევს, ვინემ დასავლეთი ევროპის გლეხობას.

ბ-ნ თფილისელს გონია, თავად-აზნაურობა პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული და ამიტომ იბრძოდაო! ნამდვილათ კი პატრიოტობა სრულიად ახალი დროის მოვლენაა, სწორეთ იმ დროის, რომელმაც დაარღვია ფეოდალური წყობილება და დაამყარა ახალი. ფეოდალი განხორციელებული ანტიპატრიოტობაა, ის მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება ერის გაერთიანებას. ერის ნაციონალური ცხოვრე დაწყებას. ხალხის მიერ შექმნილ ენას (ბ-ნ თფილისე: გონია ენა ფეოდალებმა შექმნესო!) ის ანაწილებს და განცალკევებულ კილოებს ავითარებს. მისი გონებრივი განვითარება, გლეხთან შედარებით, რასაკვირველია, მაღალი იყო, მაგრამ წერა-კითხვას ის ნაკლებათ ეტანებოდა. ეს მას არ მიაჩნდა ვაჟკაცის ხელობათ. ლუარსაბ თათქარიძის აზრით, მწიგნობრობა დედა-კაცის ხელობაა. თუ ეს ასე იყო მე-XIX საუკუნეში, რაღა უნდა ყოფილიყო წინათ. მეღექსეობა, მხატვრობა, ხურობა და სხვა ასეთი კულტურული ხელობა სათაკილოთ იყო მიჩნეული. ერთათ-ერთი სასულიერო წოდება ეტანებოდა მწიგნობრობას, მაგრამ არა საეროს, არამედ სასულიეროს. მას არა ერთხელ დაუწყევლია „ვეფხვის ტყაოსანი“ და მისი მზგავსი ვითომ და გარყვნილი წიგნები.

ამნაირათ, თავად-აზნაურობა იყო მოწინავე კლასი ფეოდალურ დროს, ის იდგა ერის სათავეში და განაგებდა მთელ ქვეყანას. ეს წყობა წინანდელ ხანასთან შედარებით,

რასაკვირველია, პროგრესული იყო, უამისოთ ხომ ვერც კი დამყარდებოდა. მაგრამ ბ-ნ თფილისელს გონია, რა კი ის მის დროს კარგი იყო, ამისათვის ახლაც კარგი იქნებაო.

ეს შეიცავს ბ-ნ თფილისელის მეორე კითხვას.

შეუძლია თავად-აზნაურობას ახლაც მოწინავეობა გასწიოს? როგორც ზევით ვთქვით, მოწინავე კლასის წარმოშობა დამოკიდებულია ნივთიერი ურთი-ერთობის განწყობილებისაგან. წარსულში თავად-აზნაურობას იმიტომ მიენიჭა უპირატესობა, რომ მის ხელთ იყო მაშინდელი ეკონომიური ძალა—მამული და ყმა. დღეს კი ეკონომიურ ძალას წარმოადგენს არა მამული, არამედ ფული, არა მეურნეობა, არამედ მრეწველობა და აღებ-მიცემობა. და რადგანაც ამ ძალის მეთაური მრეწველნი და ვაჭარნი არიან, ცხადია, მოწინავე კლასიც აქედან უნდა წარმოშობილიყო. და მართლაც, დღევანდელ ხანას, ეწოდება ბურჟუაზიული და არა თავად-აზნაურული ხანა, ვინაიდან გაბატონებული კლასი ბურჟუაზია. ეს საანბანო ჭეშმარიტებათ არის გადაქცეული და გვიკვირს ამდენხანს, როგორ ვეღარ მიადწია ბ-ნ თფილისელის ყურამდე. ისტორია თვითველი პირის ნებით კი არ მიმდინარეობს, რომ ბ-ნ თფილისელის სურვილი სინამდვილეთ გადაიქცეს. ის თავის ფანტაზიას ფაქტათ აღიარებს და მით თვით ფაქტი ფანტაზიათ გამოაქვს...

ბურჟუაზიამ გამოუნგრია საძირკველი დასავლეთ ევროპის თავად-აზნაურობას და მის ალაგას თითონ ჩადგა. ჩვენში კი ის ასეთ დიდ როლს ვეღარ თამაშობს, რადგანაც მის განვითარებას წინ ასწრებს თვით ხალხის, დემოკრატიის განვითარება. ჩვენი ერთთ-ერთი მოვალეობაა, ხალხი გავავითაროთ და მით თანამედროვე ერს ნამედროულათ ვეშასხუროთ.

აღფა

მ ყ ი რ ე შ ე ნ ი შ ე ნ ა .

„კვალის“ მე № 49 დაბეჭდილია ბ. სემინარიელის სტატია ქიათურის შესახებ. მთავარი აზრი ამ წერილისა, როგორც ვატყობ, ის უნდა იყოს, რომ საპასუხოდ გამომიწვიოს და მეც მზათა ვარ მისს გადაჭრილ კითხვებს სხარტულად ვუპასუხო: შავი ქვის ისტორია მისის დაარსებიდან დღემდე, სარწმუნო ფაქტებით დასაბუთებული, „ჩემს თავგადასავალში“ არის მოხსენებული და თავისს დროზე კიდევ გამოაშკარავდება... დღეს კი არც გარემოება და არც ადგილი ნებას არ მადღევს დაწვლილებით განმეორებისას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც უფრო საჭიროა და რისიც უთქმელობა აღარ ხერხდება: სრულიად თანახმა ვარ ბ. სემინარიელის, რომ ქიათურის დღევანდელი მდგომარეობა უნუგეშოა და იმ სახით მრეწველობას, რა სახითაც დღეს მიმდინარეობს, არა თუ სარგებელი, პირიქით ზარალის მეტი არა მოაქვს რა ჩვენი ქვეყნისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ფული შემოდის, როგორც ზნეობითადაც ისე მატერიალურადაც ეცემა მხარე და შორაპნის მაზრა, რომელიც თვისს მიწის მოსავლს სხვა მაზრებსაც უზიარებდა ხოლმე, დღეს თვითონ ჩავარდა შვეიწროებაში და მეურნეობას ბოლო ედება. ეს კიდევ არაფერი, რომ სამაგიეროდ მრეწველობა მაინც კარგად მიდიოდეს!.. მაშინ ერთის ნაკლს მეორე შეავსებდა როგორმე, მაგრამ დღეს კი ერთი რომ ეცემა, მეორეც ვერ იკიდებს ფეხს. მუშები, არა თუ ვერას იძენენ, სხვა და სხვა სახაფანგო წეს-რიგის წყალობით, უაზროდა და უნაყოფოდ დაღვრილ საკუთარ ოფლში იღუპებიან. უმეტესი მაზგანი სნეულდება ტონელ-გვირაბებში, სადაც ქარმჭვალა სხვა და სხვა ხერხელებიდან ყოველი კუთხით სტვირივით უბერავს. სტატისტიკური ცნობა რომ შევკრიბოთ, ორი წილი მაინც, თუ

არ მეტი, ვეღარ იტანს სახითათო შრომას და წყდება. მანდის პატრონები, „არსენას ადლით“ დაჩაგრულები, გაჭირვების გამო, თითო-ოროლა გროშის გვერისსაფის, — ჩომელსაც სამოწყალოდ აწოდებენ მეიჯარადასეონა, სამსკილი-შვილო სიმდიდრეს სამარადისოდ მარხავენ. ჩაღვადრები და მეურმეები, „სასწორ-სკიდკების“ წყალობით ვერას იგებენ, წვრილი მრეწველები, ორიოდე გაბატონებულ ექსპორტიორების ყურმოჭრილ მონებად არიან გადაქცეული და სხვანი...

დაიხ, ეს ყოლიფერი მართალია, მაგრამ აქ ჩემი წინასწარმეტყველება არაფერ შუაშია! ესეები ყველა დროებითია და, როცა გონს მოვეგებით, გაქარწყლდება. ახალ გაჭრილ არხზე პირველ ხანებში ყოველთვის მღვრიე წყალი მიდის, მაგრამ, როცა ძველი დაწდება, მერე კი ახალი ანკარა მიჩუხჩუხებს ხოლმე. ქიათურის მრეწველობასაც ესევე უნდა გადახდენოდა პირველ ხანებში, მაგრამ ახლა კი გაწმენდილ გზაზე უნდა იდგეს, რომ პიროვნული უკუღმართობა არ უშლიდეს ხელს ამ საზოგადო საქმეს. როგორც ყველგან და ყოველთვის ჩვენში, ამ საქმესაც უმეცრების „კუდა-ბზიკობა“ და საწუწკრის მიმდევრობა აფერხებს და აუკუღმართებს.

ბევრჯელ მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ ჩვენ, დღევანდელი ქართველები, აღარა ვგევართ ძველებს და ჩვენი საქმიანობაც ბავშურ-უსუსურია: ან სულ გულს ვიტეხთ და აღარა გვრწამს რა და ან, ოცნებით მოტყუებული, თავხედურ მეტირობას გადავწყევბით ხოლმე. დაკარგული ვაქვს სწორ-მხედველობის სასწორ-საზომი და ვერ შეგვიგნია, თუ რა განსხვავებაა საზოგადოსა და საპირადოს შორის? ვინც სუჯუნაში მელის ტყავს გაყიდის, ჩხარში ბოლოკს, ონში პაიქებს და ხონში დარაიას, ის დიდი გამოცდილი ვაჭარი გონიით და ჩინებულ კომერსანტათ სთავლიან. ვისაც კი ორი გროში შეუძენია, გინდ უკუღმართობითაც იყოს შენადენი, ქვეიან კაცათ სთვლიან და ყოველ საზოგადო საქმეში უპირველეს ადგილს უთმობენ. ამიტომაც ჩვენებური საზოგადო საქმე და არჩევნები ბურთაობასა და „ყენობის“ გვაგონებს.—დიდი ხანი არ არის რაც „ყენობა“ გადავარდა. ბევრი ჩვენგანია კიდევ მომსწრე. ახირებული თავშესაქცევა-რი რამ იყო ეს „ყენობა“: მთელი ქალაქი ორ ბანაკათ გაიყოფოდა, ქვემო უბნელებათ და ზემო უბნელებათ. ორივე მხარე წამოაყენებდა თავ-თავის ყენს და მათ სასახელოთ და გასამარჯვებლათ დაიწყებდენ ხოლმე ბრძოლას. ჯერ ვითომ და ხუმრობა იყო, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს, რომ შეხურდებოდენ, თავ-დავიწყებული, დაუშენდენ ხოლმე ერთ-მანეთს. მუშტ-კრიეს თან მოყვებოდა ხოლმე შურდული. გააქონდა ქვეს ზუზუნ-ზუზუნი და ბევრჯელ ხის ხმლებზედაც გადადიოდენ. ვნებათა-ღელვა იმდენათ იტაცებდა მეომრებს, რომ ყოლიფერი ავიწყდებოდათ. მამა შვილს აღარ ზოგავდა, შვილი მამას და ძმა ძმას. ბევრი სახიჩრდებოდა კრივის დროს, და შეევასა და მტვრევას ხომ ანგარიშიც არ ქონდა. ვისაც სეირის ყურება უნდოდა, ის უეჭველად განზე უნდა გამდგარიყო და ბანიდან ეცქირა. შუაში ჩადგომა, გინდ კეთილი მხრითაც, შეუძლებელი იყო. ვინც ან ერთსა და ან მეორე მხარეს არ მიუდგებოდა, იმას ორივე მხრიდან დაუშენდენ. საკვირველია, ხომ იცოდენ, რომ ნამდვილი არც მეფე იყო და არც ყენი და რალად იმსხვრევდენ ცხვირ-პირს? იცოდენ, მაგრამ წამხედურება გადამდები სენი და მომხიბლავი გიპნოზია. სწორედ ამ გვარივეა დღევანდელი ჩვენი „კენქობა“ და არჩევნები—მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველებური, ყენობა, მარტო დიდ-მარხვის პირველ ორშაბათს იყო ხოლმე. ერთ დღეში თავდებოდა. მეორე დღეს პირადი ანგარიში გასწორებული იყო... გულში აღარავის რჩებოდა. და აქ კი „კენქობაში“ პირადი ანგარიშები საზოგადოზე

გადადიან და მტრობა-უსიამობა საშვილიშვილოთ იზღვება. აქაც, ვაი მისი ბრალი, ვინც ორს ერთმანეთის საპირდაპიროდ გააფთრებულ მხარეს შუაში ჩაუდგება და მოინდომებს სიმატლის გამოკვევას! იმას, უეჭველია, ერთი ორათ გადახდება!.. ერთი ამგვართაგანი „ყვენობა“ ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს იმერეთში: შავი ქვის მრეწველთა კრება და არჩევნები დანიშნულია 7 იანვარს. რა თქმა უნდა, რომ აქაც ყოველივე საზოგადო და ქვეყნის სასარგებლო მხოლოდ პირბადეთა და ხელსაწმენდათ იქნება წამოყენებული, თავი და თავი მიზანი კი პირადობა და „ჩემიან-შენიანობა“ იქნება, აქაც ყვენებს წამოაყენებენ და მათ შუა ჩადგომა უნდაყოფო თავის გაწირვა იქნება და ამიტომაც ჩვენ სრულიად არ გვიწვევს ჩვეულებრივი „ჩვენთან-სხვისთანობა“ და ბავშვური გამოცანები: „კოჭლი სჯობია, თუ ფეხ-მოტეხილია?!“. პირდაპირ გადავალთ საქმეზე და აღვიარებთ, რომ დღევანდელი ქიათურის მდგომარეობა სამწუხაროა და შეგნებულ მრეწველობის ადგილი ონაერობასა და ცარცვა-ვლუჯას უჭირავს ხელში. და რომ ბოლო მოელოს ამ ქირს, აი რა არის საქირო ყველაზე უმაღლ. 1) მუშებისა და ჩაღვადრებ-მეურმეების არტელები, რომ არ იჩაგრებოდნენ. 2) მათთვის თავშესაფარად იათფასიანი სასადილო სახლები, რომ დუქნებში არ ილუპებოდნენ. 3) გზები, რომ შავი ქვის ზიდვა გაადვილდეს და ამგვარები!.. მაგრამ თავი და თავი კი ის, რომ ტარიფი დაკლებული იყოს. ამბობენ: განა არ ვეცადეთ და რომ არა გაგვივიდა რაო? ცდაც არის და ცდაც, „მონდობაც და მონდობაც“ თვალის ასახვევი საბრიკო ფრთხალი და ნამდვილი შრომა ერთი და იგივე როდია! ამიტომ არ უფიქრიათ მანდელის სარეცხ-ქარხანაზე, რომ მიწა-ტალახი არ გადაქონდეთ უცხოეთში და ყოველ წლიურად მილიონებს არ უკარგავდნენ ჩვენ ქვეყანას?

სად არის ქიმიური ლაბორატორია და შავი ქვის ელექტრონი, რომ მრეწველობა, მართლაც, საქვეყნო, სასარგებლო კალაპოტში ჩადგეს? და სხვანი. ამას ყოველიფერს დიდძალი ფული ეჭირვება და სად არისო? ამბობენ. მაგრამ ეს სათქმელი არ არის!.. საბჭოს, რომელსაც წლიურ შემოსავლად ორასი ათას მანეთამდე უჭირავს ხელში, ნუ თუ არ შეუძლია რომ უცხოეთში, სულ ცოტა სარგებლით, დიდი თანხა მოიპოვოს სესხად, რაც საქიროა გააკეთოს და წვრილი მრეწველები, ჩვენებურები, ფეხზე წამოაყენოს? განგებ უნდა აიხვიოს კაცმა თვალი და ან სულ არა ესმოდეს რა, რომ ეს ვერ გაიგოს!.. აბა ეს ადვილათ გასასწორებელი ნაკლი შეივსოს და მაშინ ვნახავთ ასრულდება, გამართლდება თუ არა ჩვენი წინასწარმეტყველობა შავი ქვის წარმოების შესახებ? ეს ყველაფერი საბჭოს საქმეა და ამიტომაც საბჭოს წევრების არჩევნები სასაცილო „ყვენების“ წამოყენება კი არ არის!. საზოგადოთ მეთაურობა რომელიმე საქმის იმისთანა კაცს უნდა ჰქონდეს ხელში, რომ ღირსეულათ დაქვრავს შექმლოს. ქვეყნის წინაშე ნაკადი უნდა იყოს, ან წარსულში უნდა მიუძღოდეს რამ მისი ვარგისობის დასამტკიცებელი და ან მომავლისათვის იძლეოდეს იმედს. და ამისთანები გვყვანან, როგორც ძველებში, ისე ახლებში კიდევ უფრო. ჩვენში კი გაიძახიან: „კაცი არა გვყავსო! ვინა გვყავს, სად არიან?“ და სხვანი. სირცხვილი არ არის ამას იძახოდეს ის ხალხი, რომელსაც ჰყავს ძველებში: ნ. ნიკოლაძე, პროფესორი პეტრიაშვილი, ანდრია ერისთავი და სხვანი? და ახლებში საიმედო ხომ კიდევ უფრო მეტი?! ჩვენ არც დღევანდელ მეთაურის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ იმავე დროს კი მოვავრუნებთ ყველას ერთად, ვინც უნდა იყოს, რომ მეთაურობა სათამაშო „ვეზირობა“ კი არ არის და საპატიო დაჯილდოება! მეთაურობა იგივე სარდლობაა და ჯარის წინ წაძლოა და

არა აქეთ იქით გადახტომ-გადმოხტომა სასაკიკუქოთ. ნათქვამია: „ორი ნესვი ერთი ხელით არ დაიჭირებაო“. ერთი კაცი გინდ მაღალ ნიჭიერიც იყოს, მარტოდ-მარტო თავის-თავად ვერას გაარბევს, თუ გვერდში ღირსეულნი არ იქნებიან ნან და არ ეხმარებიან!. ქრისტეს ყავდა მრეწველობის როგორ დაეჯეროთ, რომ ჩვენ მეთაურებს იმახედაც მეტი შეეძლოთ?..

დასასრულ კიდევ გავიმეორებ, რომ ეს საქმე, შავი ქვის მრეწველობა, ჯერ-ჯერობით ჩვენი უპირველესი საქმეა და მისი გულ-გრილათ მოკიდება დიდი ცოდვაა. ნუ ჩავდგებით საშვილიშვილო ცოდვაში! გადავდვათ განზე პირადობა და ისე შევეუდგეთ საქმეს.

აკაკი.

კავკასიის ფარმაცევტის საზოგადოება და ბ-ნი ალბა ალხაში-შვილის „მოდგაწეობა“ 1901—1902 წლებში.

(წერილი რედაქციის მიმართ).

კავკასიის ფარმაცევტის საზოგადოებას ზემო აღნიშნულ წლებში თავმჯდომარეთ ყავდა ბ-ნი ალხაში-შვილი. სამწუხაროა, იმან სრულიათ ვერ გაამართლა თავის ამომრჩეველთა იმედები, შირ იქით მთელი მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ამ დროს განმავლობაში ფარმაცევტის უმრავლესობის ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1899 წ. ეიხულზე გაგვაცურა ამ კავკასიაში (იხ. ამის შესახებ „კვალი“ № 50 1899 წ.) შარშან კიდევ მთავრად და საზოგადოების თავმჯდომარეთ ავარჩიეთ, რადგანაც წინანდელი „შეცდომა“, როგორც ჩვენ გვეჩვენა, გასწორდა, მაგრამ ცხადია, რომ „კავკასია შინა, რაც სდგას, იგივე წარმოდინების „და ავი გავიკეთ კიდევ, რაც იდგა „კავკასია შინა!“ (იხ. ამ წლის „კვალი“ № 10, სიტყვა გამგებების წევრი ბ-ნი შამადაძე ნათლათ კვირისაჲს ალხაში-შვილის თადღითობას და ორწინობას) ამის შემდეგ მასში ახალი საარჩევნო კრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ, რა კი, ალბათ, ამ კრებიდან ბ. ალხაში-შვილი არაფერს კეთაფს არ მოელოდა თავისთვის, კრების დანიშვნა გააჩინურა 15 ოკტომბრამდის, რამაც კინაღამ გამოიწვია საზოგადოების დახურვა (იხ. „НОВ. ОБОЗ.“ 15 ოკტ. № 6194) 15 ოკტომბერს მოიწვია კერძო კრება და არა ოფიციალური. ამ კრებაზე ბ-ნი ალხაში-შვილის „მოდგაწეობა“ გაკიცხულ იქნა თვით შეათათაქების განაც კი, რომელთაც ის ფეს ქვეშ ეგებოდა და ეგება კიდევ სხვა და სხვა კერძო მოსახრებათა გამო...

7 ნოემბერს ძღვეს ძღვივობით დანიშნა საზოგადო კრება; ამ კრებაზე ჩამოაბრძანეს ბ-ნი ალხაში-შვილი თავმჯდომარის „ტახტიდან“ და გააშავეს აგრეთვე ის შირი, რომლის დამქმნათ თითონ ბრძანდებოდა. ეს დამარცხება ფანთისავით მოხვდა გულში განსაკუთრებით ალხაში-შვილს და იმ ბუშბერას შეათათაქეს, რომელმაც სხვაზე უწინ წამოაუყენა თავისი კანდიდატურა. მიუხედავად ალ-შვილის და „ძმათა მისთა“ დახმარებისა, გააშავდა ბუშბერასი ოტენი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ახალ გაზდა მაგისტრი ფარმაციის ბ-ნი ბახჩიევი. არჩევნების მეორე დღესვე, დღითა აღრე, ბ-ნი ალ-შვილი გაემართა ბ-ნი ბახჩიევთან და თხოვა ამ უკანასკნელს უარი განაცხადებია თავმჯდომარეობაზე თავის მრჩეველ და დამრეკ ბ-ნი ოტენის სასარგებლოთ, მაგრამ უარი მიიღო; ალხაში-შვილმა სადამოს კიდევ ორი „ამხანაგით“ ერთათ ესტუმრა ბ-ნი ბახჩიევს და გაუთქმრა თხოვნა, მაგრამ ბახჩიევმა შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა ეს დაუხმარებელი სტუმრები: „ბატონებო, თქვენგან არჩეული არა ვარ მე და მამხანაგე არც თქვენი სურვილით დავსებებ თავს თავმჯდომარეობას, თუ ისინი, ვინც მე ამირჩია, მეტყუიან თავი დახმარებო, დიდის კმაყოფილებითო“. შირში ჩაღა გამოკვლეს ალ-შვილმა და კამხანამ, მეტი რომ ვერა გაახერხა რა, იმდენი იხიბრეკვლავეს, რომ ერთ შეათათაქეს, რომელიც კრებაზე არ დასწრებია და წესების ძღვით

წევრთაგან არ უნდა ჩათვალოს წევრებად შეატანიეს გამგეობაში (სადა ბბ. ოტენი და ალ—შვილი ბრძანებულები), სადაც თხოულობს ახალი არჩევნები დაიბეჭდოს, რადგანაც მისი აზრით მომხდარი არჩევნები ვითამ და უნდა იყოს. მაშინ რადგანაც წესების მე ვპ წ ცხადყოფს, რომ „დადგენილებანი საზოგადოებისა სავალდებულონი არიან ყველა წევრთათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სელასლა განხილულ იქნენ ეს დადგენილებანი, თუ რომ ამას თხოულობს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტით, შეგროვილან გამგეობის—სამი წევრი (ალხაზაშვილი, ოტენი და ზემეჯია) და დაუდგენიათ: დაინიშნოს ახალი საარჩევნო კრება 10 დეკემბერს, ნაცვლათ 7 ნოემბერს მომხდარი კრებისა, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა (!) (რატომ ამდენ ხანს არ აღმოჩნდა, ბნო ალხაზაშვილი?) პირველ ამჩვენებში მონაწილეობა მიუღია ასეთ პირს, რომელსაც ხმის უფლება არ ქონიათ, თუმცა ის პირი დღესაც გამგეობის წევრთა ითვლება. ამნაირათ აკერ შვიდი თვე სრულდება, რაც ბნო ალხაზაშვილი „უპრაოდან“ თავმჯდომარეობის და მის თავმჯდომარეობის დროს სულ სამი კრების მეტი არ მომხდარა.

განხათ, რას მოგვიტანს მომავალი კრება, თუ კი ის მართლაც მოხდა 10 მომავალ დეკემბერს ამ გაუბატონების თვითნებობით, ხოლო თუნდაც რომ „ბეღმა“ გამარჯვება არგუნოს მომავალ კრებაზე ალხაზაშვილს და მისს კამპანიას, მათი „გამარჯვება“ მაინც დროებითი იქნება, რადგანაც მათ წნეობრივ ავტორიტეტს უკვე უფსკრული აქვს გათხრილი...

ტ. ლუკაშვილი.

ქართული თეატრი

გასულ ხუთშაბათს ჩვენ თატრში წარმოადგინეს ორი პიესა: ჰაუპტმანის „ავითყოფნი“ და „დედის ნებიერი“. პირველი პიესა ჩვენთვის მეტათ საინტერესო იყო, რადგან თფილისის სცენაზე პირველათ დაინახეთ ბნი ქორიძე, და ამავე დანახვამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ სცენას მოემატა ახალი ძალა, არტისტი განათლებული და მასთან ნიჭიერი. ჩვენ დაგვრჩენია ვუსურვოთ ბნი ქორიძეს, რომ ის სამშობლო სცენას არ გაშორებოდეს. საზოგადოთ ეს პირველი პიესა შნოიანათ წარმოადგინეს. მაგრამ მეორე პიესამ კი ჩვენ გაგვაოცა. ასეთ სისამაგლეს პირველათ ვხედავთ ქართულ სცენაზე. აუღამგელი გარყენილობა თქვენ წინ შლის ფრთებს. უყურებთ და არ გჯერათ ჩვენ თეატრში ხართ, თუ სადმე გარყენილების დაწესებულებაში. ასე ფიქრობთ, აქ ხელოვნების ტაძარი კი არა, გარყენილების ტაძარიაო. სწორეთ, სამწუხაროა ასეთი მოვლენა, მით უმეტესათ, რომ პიესა გადმოუკეთებია ერთ ნიჭიერ არტისტთაგანს.

რედაქტ.—გამომც. ან. თ.—წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

იოსებ ივანაშვილის გამოცემა, № 21.

მ. გ. მ. რ. კ. ი. ს.

12 მოთხრობა, ივ. კომპანთელას კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილით. ფასი 60 კაპ. იყიდება გამომცემელთან (თფილისში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ფოსტის აღრესი: თფილის,

Дозволено ценз. Тифлисъ, 7 декабря, 1902 г.

Книж. Торг. Юс. Зах. Имедашвили. აქვე იყიდება მოსივე გამოცემა № 22. **კაცი ვარ და ჟული მხურავს**, კომედია სამ მოქ. ივ. რვე. ვაჩანასაძის მიერ. **გ. მ. რ. კ. ი. ს.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოთ, რომ კვირას 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

განსახილველი საზნები:

- 1) წარსული წლის ანგარიში, 2) სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 1902/3 წლისა, 3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ, 4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა, 5) მოხსენება შესახებ ქართული წარმოდგენების მართვისა პროვინციებში, 6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა, 7) მოხსენება შესახებ დასის მთელი წლით შენახვისა, 8) არჩევანი საზოგადოების ახალი წევრებისა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисъ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(XX-й годъ изданія)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

на 12 мѣсяц.	. 7 р.—к.	на 6 мѣсяц.	. 4 р.—к.
» 11 »	. 6 „ 50 »	» 5 »	. 3 „ 50 »
» 10 »	. 6 „ — »	» 4 »	. 3 „ — »
» 9 »	. 5 „ 50 »	» 3 »	. 2 „ 50 »
» 8 »	. 5 „ — »	» 2 »	. 2 „ — »
» 7 »	. 4 „ 50 »	» 1 »	. 1 „ — »

За границу на годъ 14 р., на полгода 8 р., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учреждений сдѣлана скидка: 10 рвая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисъ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учреждений Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и загранич. принимаются исключительно въ конторѣ объявлннй Л. и Э. Метцль и К^о въ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 коп.—на 1 стр.

(3—1)

დამატებით მბეჭდავი, სტამბა მმ. თავართქილაძისა. სურვივის ქ. № 1.